საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№ 30 (9861) 2025 წლის 28 თებერვალი, პარასკევი

არ გაყიდოთ სამშობლო 120 ევროდ, ყვავებო!

ევროპიდან საპროტესტო აქციების თითოეული მონაწილისთვის დღეში 120 ევროა გამოყოფილი

11



აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები,

ხელოვნების მესვეურებს ავიწყდებათ, რომ ახალგაზრდობა ღირსება კი არ არის — უპირატესობაა. და, რომ შემოქმედებაში ხანში შესული შეიძლება უფრო თანამედროვე იყოს და მეტი სარგებლობის მომტანი, ვინემ უნიჭო და უსაქმური ახალგაზრდა მსახიობი.

6–7

დავით ჩიხელიძე:

ბიძინა ივანიშვილი სამშობლოს არ გაყიდის და საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნება!

ბრიყვის ჩვევაა, ერთი და იმავე ქმედება განახორციელოს იმ იმედით, რომ საბოლოო შედეგი განსხვავებული იქნება. ასეთია „დიფ სთეითის“ მიდგომა, ისინი ბიძინა ივანიშვილის სანქცირებას უიმედოდ ცდილობენ, რადგან რა სახის სანქციებიც არ უნდა დაწესდეს, შედეგი იგივე იქნება, ბიძინა ივანიშვილი სამშობლოს არ გაყიდის და საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნება, – ასე ეხმიანება ექსპერტი დავით ჩიხელიძე ბრიტანეთის თემთა პალატაში ბიძინა ივანიშვილის სანქცირებაზე მსჯელობას.

იდეის ავტორებმა კარგად იციან, რომ ბიძინა ივანიშვილი დიდ ბრიტანეთში კაპიტალს არ ფლობს, შესაბამისად პრაქტიკული თვალსაზრისით ეს იქნება სანქცია სანქციისთვის, მორიგი აბსურდული თემა, რომელიც ოპოზიციისთვის ბურთის გადმოგდებას და საქართველოს ტურბულენტურ ზონაში ყოფნის გაგრძელებას ნიშნავს.

„მაყუთში“ ჩაქცეულები

სად დაიკარგა ამერიკული მილიარდები?!

3

დიდი ეჭვია, რომ, თუკი ამ დანაშაულის ნიშნები დამტკიცდა, აუცილებლად მოუწევს უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენა.

ქართული ფინანსური მეცნიერების ფუძემდებელი

5

აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე – 120

სირია, საქართველო და რუსეთი...

4

რა ცვლილებები განხორციელდება დამასკო–თბილისის ურთიერთობებში ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ?!

გამორჩეული ხმის ჰოეტი ქეთევან შენგელია

9

www.sak.ge ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ირაკლი კობახიძე:

ევროკავშირის ელჩი ვერც თვითმმართველობის არჩევნებზე მოახდენს გავლენას თავისი პრონასცმოძრაობრივი განცხადებებით!

ევროკავშირის ელჩს შეუძლია, გააგრძელოს საარჩევნო, პოლიტიკური კამპანია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გველოდება წინ, თუმცა როგორც საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, ამ არჩევნების შედეგებზეც ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს მისი პრონაცმოძრაობრივი განცხადებები,...

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოში ევროკავშირის ელჩი პირდაპირ ერეოდა საარჩევნო პროცესებში, როდესაც საზოგადოებას მოუწოდებდა აქტიურობისკენ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ და „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ, ამიტომ ეს ყველაფერი ნაკლებად არის საინტერესო.

ევროპარლამენტი გამოვიდა, დაახლოებით 500 ხმით დაამტკიცა რეზოლუცია, სადაც მოითხოვა სანქციებთან მიერთება და ეს მოიწონა რადიკალურმა ოპოზიციამ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს ქობულეთში განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დანარჩენი ყველაფერი არის ტყუილი და სპეკულაცია.

ჩემი დამოკიდებულება იცით ამერიკული „ფარას“ კანონის მიმართ, ეს არის საკმაოდ უხეში კანონი. მე მინდა, იმედი გამოვთქვა, რომ პარლამენტში დაიხვეწება ამერიკული „ფარას“ კანონი და მოვა შესაბამისობაში ადამიანის უფლებების სტანდარტებთან...

მისივე თქმით, პირველად ვარიანტად „ფარას“ ზუსტი ანალოგის ინიცირება იყო, რა თქმა უნდა, სწორი, თუმცა ეს კანონპროექტი საჭიროებს დახვეწას.

* * *

ფაქტი არის ერთი, ქვეყანა განაგრძობს წინსვლას და განვითარებას როგორც ეკონომიკური, ასევე დემოკრატიული, პოლიტიკური თვალსაზრისით!..

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი გვანცა ვარამაშვილი გახდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, გვანცა ვარამაშვილს აქვს საჯარო სამსახურში მუშაობისა და აკადემიური საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ამჟამად იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტია; მიღებული აქვს საჯარო მმართველობის მაგისტრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

გვანცა ვარამაშვილი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი და თანაავტორია, მოპოვებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის სტიპენდია.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის პოზიციაზე დანიშვნამდე იგი იკავებდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის გარემოსდაცვითი მიმართულებით ევროკავშირთან ინტეგრაციის სამმართველოს უფროსის თანამდებობას.

დიდთოვლობა საქართველოში

მიხეილ ყაველაშვილი:

ჩემი წინამორბედის ქმედებები ქვეყნისთვის მიუღებელია

– **დღეს** ვიმყოფებით აჭარის ტერიტორიაზე, მანამდე ქობულეთში დავესწარით საკოორდინაციო შტაბის სხდომას, სადაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ მოგვახსენა არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. აჭარაში სიტუაცია მეტ-ნაკლებად უკეთესია, ამინდმაც შეუწყო ხელი და დარწმუნებული ვარ, რამდენიმე დღეში ყველაფერი, თითქმის 100%-ით აღდგენილი იქნება.

დარჩა რამდენიმე ლოკაცია, სადაც მიმდინარეობს გზების გაწმენდა. ყველა ადმინისტრაციულ ცენტრში არის გაწმენდილი გზები. ასევე ელექტროენერგიის მხრივ, თითქმის 90%-ი აღდგენილია ქობულეთის რაიონში. დარჩენილია რამდენიმე ლოკაცია, სადაც საჭიროებს ელექტროენერგია აღდგენას. სტიქიისგან დაზღვეული არავინ არ არის, მთავარია შემდეგ როგორ რეაგირებ და ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. აჭარის მთავრობა, მისი მუნიციპალიტეტები, კოორდინაციის თემა აქ არის ძალიან მაღალ დონეზე. ასევე მინდა, გამოვყო უწყებები – ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ჩემთან ერთად გრძანდებოდა პრემიერ-მინისტრი, ინფრასტრუქტურის მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და შს მინისტრი...

მიხეილ ყაველაშვილმა მეხანძრე-მაშველებს, თავდაცვის ძალების სამხედროებს მადლობა გადაუხადა, რომლებიც, მისი თქმით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ.

საზოგადოება უნდა იყოს იმედიანად, ეს არის უსაფრთხოების საკითხი, როცა სტიქია მძვინვარებს ქვეყანაში, დაახლოებით ომის ანალოგიურია. არსებობენ ადამიანები, ვინც დეზინფორმაციას ეწევიან ასეთ სიტუაციაში, რომელიც მიუღებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ სრული მობილიზაცია არის. გუშინ, გუშინწინ, ხვალაც, ზეგაც გაგრძელდება. მთელი ეს პერიოდი ხომ ხედავდით, მთელი კვირის მანძილზე როგორ მუშაობდნენ. შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმუმს აკეთებენ. სტიქიისგან დაზღვეული არავინ არ არის. მთავარია, როგორ რეაგირებ...

პრეზიდენტის განცხადებით, როდესაც ქვეყანაში ასეთი ვითარებაა, დეზინფორმაცია ვრცელდება.

– ასეთ სიტუაციაში დეზინფორმაცია პირდაპირ ვნებს სახელმწიფოს. მათი მოტივია, აგრძნობინონ მოსახლეობას, რომ ხელისუფლება ვერაფერს აკეთებს. საზოგადოებას მინდა, ამაზე არ ჰქონდეს რეაგირება. მთავარი არის, რომ ყველა ადამიანთან იყოს კომუნიკაცია და ყველაფერი რიგზე იქნება. შეიძლება, რაღაც პრეტენზიები ნებისმიერ მთავრობასთან და ხელისუფლებასთან გქონდეს, მაგრამ ასეთ სიტუაციაში ერთმანეთს მხარში რომ უნდა დავუდგეთ, ეს ბავშვმაც ძალიან კარგად იცის. ჩემი წინამორბედი, რომელიც ამბობს, ჩვენ ხელისუფლება არ გვყავსო, პირდაპირ ზიანს აყენებს ქვეყანას და ხელისუფლებას. აი, ეს არის მიუღებელი. საზოგადოებას მინდა ვუთხრა, მოვუსმინოთ იმ ადამიანებს, ვინც არის პასუხისმგებელი ამ ქვეყნის განვითარებაზე, – დასძინა მიხეილ ყაველაშვილმა.

მამუკა მდინარაძე:

პრობლემები მყისიერად მოგვარდება!

– **რა თქმა უნდა**, დიდთოვლობას ახლავს დიდი სირთულეები, თუმცა, საბოლოო ჯამში, ამას ვუმკლავდებით. ასევე პრობლემები გვაქვს იმერეთში, ვანის მიმართულებით, სულორსა და რამდენიმე სოფელში. მაგალითად, გაჭირდა 30 ტონამდე აგრეგატების გადაადგილება. მიმდინარეობს დამატებითი ტექნიკის ჩამოყვანა. ინფრასტრუქტურის სამინისტროც გვეხმარება ამაში. ასევე პრობლემები გვაქვს ბაღდათის მიმართულებით, თუმცა იქ გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. შეძლებისდაგვარად, სწრაფ ვადებში ახერხებენ, რომ ათასობით ადამიანს ელექტროენერგია მიეწოდოს. რა თქმა უნდა, არის პრობლემები, სერიოზული გამოწვევები, თუმცა ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და შემიძლია, გულწრფელად შევაქო იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია, რადგან კარგად აქვთ დალაგებული მენეჯმენტი.

საპატრიარქო დაზარალებულებს ეხმარება!

„**დასავლეთ** საქართველოში დიდთოვლობამ ჩვენი ხალხისა და ზოგადად ქვეყნისთვის მძიმე შედეგები მოიტანა. სამწუხაროდ, არის მსხვერპლიც“, – ამის შესახებ ინფორმაციას საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

„ხელისუფლება, სამაშველო სამსახურები და მოხალისეები ყველა ცდილობს, შეეწიოს სტიქიის ზონაში მოხვედრილთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია II-ის გადაწყვეტილებით, საქართველოს საპატრიარქოდან დაზარალებულთათვის გაიგზავნება საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი, მედიკამენტები, თბილი გადასაფარებლები და სხვ.

ღმერთმა დალოცოს სტიქიის ზონაში მყოფნი, ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო და დაიფაროს განსაცდელთაგან.

გათუმის აეროპორტში ავიამიმოსვლა აღდგა

გათუმის საერთაშორისო აეროპორტში ფრენები გუშინ განახლდა. ალექსანდრე ქართველის სახელობის აეროპორტიდან უკვე გაფრინდა პირველი რეისი თელ-ავივის მიმართულებით.

მეტეოროლოგიური პირობების გამო ავიაკომპანიებს 2 დღის განმავლობაში გათუმის აეროპორტში ფრენა შეჩერებული ჰქონდათ. თუმცა, ამის მიუხედავად, ტავ ჯორჯია აეროდრომის ხელოვნურ საფარს მუდმივ რეჟიმში ასუფთავებდა თოვლისგან და ამუშავებდა სპეციალური საშუალებებით, რათა აეროპორტი ნებისმიერ მომენტში ყოფილიყო მზად საჰაერო ხომალდის მისაღებად.

სინოპტიკოსები გვაფრთხილებენ!

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 8 თებერვალს და 1-2 მარტს ღამის საათებში საქართველოში მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი დაკლება – დასავლეთ საქართველოს დაბლობში -5, -10 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში -7, -12, ქვეყნის მთიან რაიონებში -13, -18, მაღალმთიან ზონაში -18, -23 გრადუსამდე.

დასავლეთ საქართველოს გზებზე ნარჩუნდება რთული მეტეოროლოგიური პირობები: ლიპყინული, ელექტროგადამცემ ხაზებზე შემოყინულობა, ხოლო ქვეყნის მაღალმთიან ზონაში–ზვავსაშიშროება.

სად დაიკარგა ამერიკული მილიარდები?!

FBI ოფშორულ ზონებში გადარიცხულმა 50 მილიარდმა შეიძლება უკრაინიდან გამქრალ 250 მილიარდამდე მიიყვანოს, ხოლო ზელენსკი – საერთაშორისო სასამართლომდე!!!

უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, აშშ-თან ხელშეკრულების საბოლოო ვერსია მზად არის. მისი თქმით, შეთანხმების საბოლოო ვერსიაში არსად არის ნათქვამი, რომ უკრაინა არის მოვალე წარსულში მიწოდებული დახმარებისთვის. თუმცა მანამდე გვახსოვს პრეზიდენტ ტრამპის განცხადებები, რომ 350 მილიარდი, რომელიც უკრაინას მისცეს, დაკარგულია და არავინ იცის, სად წავიდა. თუმცა შემდეგ ზელენსკიმ განაცხადა, რომ მათ ამერიკისგან მხოლოდ 100 მილიარდი მიიღეს და ისიც გრანტის სახით. ეს არ იყო სესხი, ამიტომ არ იცის, რაზე საუბრობდა ტრამპი. აშშ-ის პრეზიდენტი კი კითხულობდა, რომ თუ 100 მილიარდი მიიღო უკრაინამ, მაშინ რა იქნა დანარჩენი 250 მილიარდი?

უკვე ცნობილია, რომ დღეს ზელენსკი ვაშინგტონში ჩავა და ხელშეკრულებას ხელს ოფიციალურად მოაწერს, თუმცა რა ბედი ეწევა 250 მილიარდის ირგვლივ დაწყებულ დავას ჯერ უცნობია. ზელენსკი ამტკიცებს, რომ ამ ვალთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში არაფერი წერია.

„ხელშეკრულებაში 500 მილიარდი ვალი არ არის, არც 350 და არც 100 მილიარდი, იმიტომ, რომ ჩვენთვის უსამართლო იქნებოდა. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ფონდზე, ეს ასევე გადაწყვეტილი საკითხია ამ ჩარჩოხელშეკრულებაში. მზად ვართ, ვისაუბროთ პარტნიორობაზე და მნიშვნელოვანია, რომ ვართ პარტნიორები. ეს ფონდი უკრაინულ-ამერიკულია და არა ამერიკული. შემდეგი შეთანხმება არის ფონდთან დაკავშირებით. უკვე იქნება გარკვეული პარტნიორობა, ფული და ა.შ. და შემდეგ კონტრაქტს უკვე ექნება სავალდებულო რატიფიკაცია უკრაინის პარლამენტში“, – განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

მანამდე კი აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-მა უკრაინას დაახლოებით 350 მილიარდი დოლარის დახმარება გაუწია, თუმცა შემაშფოთებელია ამ თანხის ხარჯვის შესახებ ანგარიშგების არქონა.

ტრამპმა ასევე გააკრიტიკა ევროპული ქვეყნები, რომლებიც, მისი თქმით, არასაკმარისად ეხმარებიან კიევს.

„პრეზიდენტმა ზელენსკიმ გასულ კვირას განაცხადა, რომ მას არ მიუღია იმ თანხების ნახევარიც კი, რომელიც აშშ-მა უკრაინას გადასცა. კიევს მივაწოდეთ, ვფიქრობ, 350 მილიარდი დოლარი. კარგი, შეიძლება ცოტა ნაკლები, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი თანხაა. მაგრამ სად არის ეს ფული? სად მიდის? მე არასოდეს მინახავს ამის შესახებ ანგარიშგება“, – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

„ევროპამ უფრო ნაკლები თანხა დახარჯა – დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ამ ომის ზეგავლენა უფრო დიდია, ვიდრე ჩვენთვის. ჩვენ გვაშორებს ოკეანე, მათ კი არა“, – დასძინა მან.

ამის პარალელურად, ტრამპი კვლავ იმეორებს, რომ პუტინი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია და მას ომის დარეგულირების სურვილი აქვს.

„პუტინი საკმაოდ ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი ადამიანია. ბევრ ადამიანთან მქონია საქმე, მათ შორის ცუდებთან, შემიძლია გითხრათ, რომ მას არ ჰქონდა ომის დარეგულირების განზრახვა, – როცა ამირჩიეს, მე დაველაპარაკებ მას... ვფიქრობ, მოვილაპარაკებთ, გარანტიას არ ვიძლევი, გარიგება – ეს გარიგებაა, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ მოვახერხებთ. მე რომ არ ავერჩიეთ, იგი, სავარაუდოდ, გააგრძელებდა ამ ომს და მთელს უკრაინას დაიპყრობდა... ბევრი ადამიანი დაიღუპებოდა... ეს დიდხანს გაგრძელდებოდა. მე პატივს ვცემ უკრაინას, მაგრამ ჩვენი მოწყობილობების, ჩვენი ტექნიკის გარეშე ისინი დიდხანს ვერ გაუძლებდნენ... გახსოვდეთ, „ჯაველინები“ მე მივაწოდე... ობამა რას აძლევდა? – პლედს“, – განაცხადა ტრამპმა.

* * *

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ამბობს, რომ დონალდ ტრამპმა არაერთხელ დაასახელა 350 და 250 მილიარდი, რომელიც ამერიკელი ხალხის გადახდილი თანხები იყო და, რომელიც უგზოუკვლოდ არის გამქრალი. ქართველიშვილი **for.ge**-სთან ამბობს, რომ უკრაინას 3 წლის განმავლობაში მიაწოდეს არამხოლოდ სამხედრო, არამედ ჰუმანიტარული დახმარება.

„ეს არის ასევე შეიარაღებული ძალების გადამზადებაში გადახდილი ფული. მთლიანობაში შევჯერდეთ, რომ 250 მილიარდამდე თანხაზეა საუბარი, რომლის მიზნობრივობა ჯერ დადგენილი არ არის. მეტ-ნაკლებად ზუსტი თანხა დასახელდა ევროკავშირისგან, სადაც ამბობენ, რომ 118 მილიარდი ევროა დახარჯული. საბოლოო ჯამში კი, ეს არის, ალბათ, 400 მილიარდამდე თანხა ორივე მხრიდან, რომელიც ვერ გაიგო ვერც ტრამპმა და ვერც ევროკავშირმა, სად წავიდა და სად გაუჩინარდა. ჯერ კიდევ სამი წლის წინ კონგრესში აშშ-ს იმდროინდელ თავდაცვის მდივანს სწორედ ეს კითხვა დაუსვეს, არსებობს თუ არა ამ თანხების განკარგვის რაიმე სისტემა, რომელიც დაადგენს, სად მიდის ამერიკის მიერ გადარიცხული ფული.

შემდეგ ჩვენ გვახსოვს ვიქტორია ნულანდის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ საერთაშორისო აუდიტი უნდა შეიქმნას, რომელიც მაგ საკითხებს შეისწავლის, თუმცა 3 წელიც გავიდა და ეს შესწავლილი არ არის. რამდენიმე დღის წინ

დიდი ეჭვია, რომ, თუკი ამ დანაშაულის ნიშნები დამტკიცდა, აუცილებლად მოუწევს უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენა. როგორც ჩანს, მან ამის შესახებ ძალიან კარგად იცის, ამიტომ ის, რასაც ამერიკა დაუდებს, ხელს იმ ხელშეკრულებას მოაწერს

ითქვა, რომ FBI და მისი ახალი ხელმძღვანელი პატერი, აწარმოებს საგამოძიებო მოქმედებებს კარიბის ზღვის კუნძულებზე, ოფშორულ ზონებში დარიცხულ 50 მილიარდის წარმომავლობას. ამ ფულმა შესაძლოა, ზუსტად ამ დაკარგულ 250 მილიარდამდე მიიყვანოს. ამ ფულით უკრაინას რუსეთი უნდა დაემარცხებინა, თუმცა კარიბის ზღვის კუნძულების ოფშორულ ანგარიშებზე მოხვდა. დიდი ეჭვია, რომ, თუკი ამ დანაშაულის ნიშნები დამტკიცდა, აუცილებლად მოუწევს უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენა. როგორც ჩანს, მან ამის შესახებ ძალიან კარგად იცის, ამიტომ ის, რასაც ამერიკა დაუდებს, ხელს იმ ხელშეკრულებას მოაწერს“, – ამბობს ქართველიშვილი.

ზელენსკის, ადრე თუ გვიან, პასუხისგება მოუწევს, როგორც საკუთარი ერის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. ქართველიშვილი ამბობს, რომ ბევრი საბაბი არსებობს იმისთვის, რომ ის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარდგეს. ამიტომ ზელენსკი მშვენივრად ათვითცნობიერებს, რა ელის და თავის გადარჩენას ცდილობს“,!..

ლიკა ბერიკაშვილი

მოვლენების კვალდაკვალ

ჯეი ვენსმა ევროპელები ბურთივით აკენწლა!

მსოფლიოში პოზიტიური ძვრები რომ მიდის, აშკარად თვალხილულია! ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის გაიდენის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას ახალი პრეზიდენტი ტრამპი და მისი გუნდი აქტიურად შეუდგა.

ეს მისასალმებელია.

ჩვენი ფიქრის და ზრუნვის საგანი საქართველოა. ველოდით, ველოდით სიახლეებსა და ჩვენი ეროვნული ინტერესების მხარდაჭერას.

ეს იმედები გარკვეულწილად გაამყარა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ჯეი დი ვენსის სიტყვით გამოსვლამ. მან დაურიდებლად გააწნა სილა ევროპის სევდოლიბერალიზმს.

ლიბერალიზმი თავის თავში მოიაზრებს ტოლერანტობას, თანასწორობას, სიტყვის თავისუფლებას. ევროპის პარლამენტმა და საბჭომ ეს ღირებულებები ფეხქვეშ გათელა. ლიბერალიზმი აქცია სევდოლიბერალიზმად ანუ ყალბ ლიბერალიზმად.

ჯეი ვენსმა მოიყვანა მაგალითები, რითაც ევროპის ბიუროკრატიას დაანახა ჭეშმარიტების კრიზისი, რომ მათ ხელში ჭეშმარიტი ლიბერალიზმი გახდა იარაღი დემოკრატიისა და თავისუფლების წინააღმდეგ.

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა, როგორც იტყვიან ,,ჩარეცხა“ ევროპის თანამედროვე ფაშიზმი ანუ მოახდინა მათი ანტიდემოკრატიული საქმიანობის ლუსტრაცია. გააკრიტიკა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად რუმინეთის საარჩევნო სისტემაში ჩარევის და არჩევნების შედეგების გაუქმების უკანონობა.

სამწუხაროა რაც მოხდა საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ევროსაბჭომ მიიღო ექვსი უსამართლო დადგენილება, აშკარად და უხეშად ჩაერია ჩვენს შიდა საკითხებში.

საქართველოს ხელისუფლება მტკიცედ დგას და აგრძელებს ქვეყნის წარმატებით მართვას, მიუხედავად იმისა, რომ ნაცები ნაცობას არ იშლიან და მათ საბოტაჟს ბოლო არ უჩანს. ისინი მოსახლეობას თვალში ნაცარს აყრიან და გაიძახიან „თავისუფლება პოლიტპატიმრებს!, „ახალი არჩევნები გვინდა“!

იხ. მე-8 გვ.

სირია, საქართველო და რუსეთი...

ბრიტანული გამოცემა **Manara magazine** (ჟურნალის რედაქცია მდებარეობს ლონდონში, იბეჭდება კემბრიჯის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის ეგიდით) აქვეყნებს ვრცელ სტატიას სათაურით **„სირია, საქართველო და რუსეთი: რა ცვლილებები განხორციელდება დამასკო-თბილისის ურთიერთობებში ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ“** (ავტორი – ვალი ქალეჯი, ფილოსოფიის დოქტორი). პუბლიკაციაში გაანალიზებულია საქართველო-სირიის ურთიერთობა 1990-იანი წლებიდან დღემდე (აფხაზური და ოსური სეპარატიზმის გათვალისწინებით) და მოცემულია დამასკო-თბილისის სამომავლო სავარაუდო დამოკიდებულების პროგნოზი.

გთავაზობთ სტატიას მცირეოდენი შემოკლებით:



რა ცვლილებები განხორციელდება დამასკო-თბილისის ურთიერთობებში ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ?!

1990-იანი წლების დასაწყისიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოსა და სირიას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, თუმცა თბილისსა და დამასკოში საელჩოები არ გახსნილა – ქვეყნები 1994 წლიდან ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ ერევანში (სომხეთი) არსებული სირიის საელჩოსა და ქაიროში (ეგვიპტე) არსებული საქართველოს საელჩოს მეშვეობით.

მართალია, დამასკოსა და თბილისის ურთიერთობა არ იყოს ისეთი დონისა, როგორიც სირიასა და სომხეთს, ან თუნდაც სირიასა და აზერბაიჯანს ჰქონდათ, სირიის არაბთა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა საქართველოს მიმართ საკმაოდ დაბალანსებული იყო და მასზე მაინცდამაინც შესამჩნევ გავლენას არ ახდენდა საქართველოს საკმაოდ არასტაბილური ურთიერთობები რუსეთთან და დასავლეთთან.

როცა 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები დაიწყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, სირიის პოზიცია დაბალანსებული პოლიტიკის ერთგვარი თვალსაჩინო მაგალითი გახდა: ერთი მხრივ, იმ ხანებში მოსკოვში ვიზიტით მყოფმა სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ბრალი დასდო ვაშინგტონს ორმაგი სტანდარტების გატარებაში საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ და განაცხადა, რომ ამერიკა აფხაზი და ოსი ხალხების უფლებების იგნორირებას ახდენს. სირიელი ლიდერის აზრით, იმის გამო, რომ საქართველომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ომი გააჩაღა, რუსეთის პოზიცია სწორი და ობიექტურია. მაგრამ მეორე მხრივ, სირია მხოლოდ კრიტიკით შემოიფარგლა და არ გაჰყვა რუსეთისა და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოს კვალს – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად არ აღიარა.

გალანსი დისგალანსის ზღვარზე

დამასკოს პოზიცია საქართველოსთან მიმართებით თანდათან შეიცვალა სირიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, 2011 წლის მარტიდან. მასში საკვანძო როლი შეასრულა რუსეთმა, ანუ კრემლის პოზიციამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ: იმის გამო, რომ მოსკოვი სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩაერია და მხარი გაშარ ასადის ხელისუფლებას დაუჭირა, დამასკო იძულებული გახდა, რუსული დიპლომატიის ნაბიჯები გაეზიარებინა.

2013 წელს აფხაზეთმა სირიაში თავისი წარმომადგენელი დანიშნა, რომელიც მოსკოვში არაოფიციალურად შეხვდა სირიელ დიპლომატებს, 2015 წელს კი უკვე თვითონ აფხაზეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა ესაუბრა ელჩ რიად ხადადს და ორმხრივი ურთიერთობის განხილვა შესთავაზა. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ აღიარებს თუ არა სირია აფხაზეთის სუვერენიტეტს, ეს უშუალოდ დამასკოს გადასაწყვეტიაო.

2016 წლის ნოემბერში აფხაზეთის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა რუსეთის ჯარების კონტინგენტის გადასროლას სირიაში, სოხუმში გაიმართა მიტინგები რუსული და არაბულენოვანი ლოზუნგებით, აფხაზეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ კი მოძმე სირიელ ხალხს მხარდაჭერა გამოუცხადა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

ანალოგიურად დამასკომ პრორუსული პოზიცია გამოავლინა უკრაინის საკითხში: 2016 წლის ნოემბერში სირია გახდა მეექვსე ქვეყანა, რომელმაც ოფიციალურად აღიარა რუსეთის ანექსია ყირიმის მიმართ. ცოტა მოგვიანებით კი, დეკემბერში, სოხუმში ჩატარდა პირველი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში სირიელი და აფხაზი სპორტსმენების მონაწილეობით. იმავე წელს აფხაზეთიდან სირიაში, რეპატრიაციის კომიტეტის ხელშეწყობით, მანდარინის პირველი პარტია (12 ტონა) გაიგზავნა ჰუმანიტარული დახმარების სახით. აფხაზეთისა და სირიის დაახლოება კიდევ უფრო დაჩქარდა 2017 წლის ნოემბერში სავაჭრო შეთანხმების დადებით, რაც დამოუკიდებლად აღიარების ერთგვარ პრელუდიად იქცა: 2018 წლის მაისში სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. თავის მხრივ, საქართველომ დაუყოვნებლივ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა სირიასთან.

* * *

დამოუკიდებლად აღიარების შემდეგ ორი ნახევრადსახელმწიფოს წარმომადგენლებმა მრავალი ვიზიტი განახორციელეს დამასკოში, რომელთაგან ყველაზე თვალსაჩინოა პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ყოფნა დამასკოში 2018 წელს.

ვიზიტის დროს ბაშარ ასადმა იგი ომეიადების ორდენით დააჯილდოვა, რომელიც სირიის არაბთა რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოდ ითვლება, ხოლო სანაცვლოდ რაულ ხაჯიმბამ მასპინძელს აფხაზეთის მთავარი ჯილდო - „ღირსებისა და დიდების“ („axdz-apSas“) პირველი ხარისხის ორდენი გადასცა. ვიზიტის დროს გაფორმდა პარტნიორობის ხელშეკრულება. 2022 წელს ხელი მოეწერა მემორანდუმს პოლიტიკის სფეროში კონსულტაციების შესახებ.

სირიელი აფხაზების დაბრუნება

აღნიშნულ წლებში სირიიდან აფხაზეთში რამდენიმე ათეული სირიელი აფხაზი დაბრუნდა. ბედის ირონიით, მე-19 საუკუნის შუა ხანებში, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობითი ომების დროს, მილიონობით ადამიანი, მათ შორის აფხაზებიც, იძულებულნი გახდნენ სამშობლო დაეტოვებინათ და უცხოეთში წასულიყვნენ. ისინი ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში დასახლდნენ, მათ შორის დამასკოს, ალეპოსა და რაქას სანჯაყებში.

სირიაში სამოქალაქო ომის დაწყებისას აფხაზეთმა სირიელი აფხაზების რეპატრიაციის კამპანია დაიწყო (სომხების რეპატრიაციის მსგავსად). პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მტკიცებით, მე-19 საუკუნეში ათასობით აფხაზმა სამშობლო ზეწოლის გამო დატოვა, ახლა კი დადგა დრო, ისინი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენო. მისი ასეთი მოქმედება, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო სურვილით, როგორმე გაეზარდა აფხაზეთის მოსახლეობა, დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით. ალბათ, ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ აფხაზეთმა დამასკოში თავისი საელჩო სწრაფად გახსნა, სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით.

რაც შეეხება ბაშარ ასადის მოტივებს, აშკარაა, რომ სირიის მთავრობამ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარება კრემლისადმი მადლობის ნიშნით განახორციელა, სამხედრო დახმარების სანაცვლოდ. თბილისი დიდი ხანია ბრალს სდებს მოსკოვს, რომ კრემლი ზეწოლას ახდენს თავის მოკავშირეებზე – დახმარების საფასურად მათგან საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებას მოითხოვს, მაგალითად, ბელარუსისგან, სომხეთისგან, ჩრდილოეთ კორეისგან და ჩინეთისგან... მაგრამ სირიის თანხმობა ამ მხრივ განსაკუთრებულია და მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდად იყო დამოკიდებული დამასკო მოსკოვის ნებაზე. კრემლი თავის მოკავშირეებს დიდი ხანია ევედრებოდა აღიარებას, მაგრამ ამაოდ. მათგან განსხვავებით, ბაშარ ასადმა საკმაოდ სწრაფად აღიარა სეპარატისტები.

კრემლზე ორიენტაციამ სირიის მეტნაკლებად დაბალანსებული პოლიტიკის დარღვევა გამოიწვია. 2022 წელს, უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის შემდეგ, სირიამ ასევე აღიარა მოსკოვის მიერ ოკუპირებული „დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკები“, რის შემდეგაც უკრაინამ სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. თითქმის იგივე მოხდა იმ ხანებში კიევის პოლიტიკაში საქართველოსთან მიმართებით

ბაშარ ასადის კრახი: რა იქნება შემდეგ?

როგორც ჩანს, 2024 წლის დეკემბერში ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ სირიის ახალი ხელისუფლების მიდგომები იცვლება. მნიშვნელოვან მოვლენად იქცა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი სიბიგას შეხვედრა სირიელ ლიდერთან აჰმედ-ჰუსენ ალ-შარაასთან გასული წლის დეკემბრის ბოლოს. შემდეგ დამასკოში ჩავიდა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იალჩინ რაფიევი, რომელიც თავის ახალ სირიელ კოლეგას ასად ალ-შაიბანს შეხვდა. ეს ნიშნავს, რომ დამასკოში 12 წლის წინ დახურული აზერბაიჯანის საელჩო დამასკოში თავის მუშაობას განაახლებს.

რას იზამს საქართველო? აღსანიშნავია, რომ სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობა იმ დროს მოხდა, როცა საქართველო პოლიტიკურ კრიზისში იმყოფებოდა, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად.

თუ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია სტაბილური გახდება, მოსალოდნელია, რომ თბილისი დამასკოსთან ურთიერთობებს დაალაგებს – ისევე როგორც უკრაინასთან. ამ პროცესის მნიშვნელოვანი წინამძღვარი გახდება სირიის ახალი ხელისუფლების ოფიციალური (სავარაუდო) დეკლარაცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად აღიარების გაუქმების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, იმის მაუწყებელი იქნება, რომ დამასკო ცვლის თავის პრორუსულ პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში.

რა თქმა უნდა, სირია-საქართველოს ურთიერთდაახლოების პროცესი აუცილებლად გამოიწვევს აფხაზეთის წარმომადგენლობის დახურვას დამასკოში, შეწყდება აფხაზური დიასპორის დაბრუნება აფხაზეთში და განახლდება თბილის-დამასკოს დიპლომატიური ურთიერთობა, გაიხსნება საელჩოები ორივე დედაქალაქში.

და ბოლოს, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების კვალობაზე, ჩვენ მოწმენი გავხდებით სირიელი სტუდენტების დაბრუნებისა ქართულ უნივერსიტეტებში, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, საქართველო დაეტოვებინათ თბილისსა და დამასკოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის გამო.

წყარო: https://manaramagazine.org/2025/02/syrias-russia-ориентированные-foreign-policy-toward-georgia-what-changes-are-coming-after-the-fall-of-bashar-al-assad/

მოამზადა **სიმონ კილაძემ**

ქართული ფინანსური მეცნიერების ფუძემდებელი

აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე – 120

ბრწყინვალე მეცნიერი, სასიქადულო მამულიშვილი, ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქი და ფინანსური მეცნიერების ფუძემდებელი ვასილ ჩანტლაძე დაიბადა 1905 წლის 8 იანვარს, ქალაქ ზესტაფონში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის ვაუთა I გიმნაზიაში. დამთავრებისთანავე, 1923 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. მალე თავისი მასწავლებლის ფილიპე გოგიჩაიშვილის ყურადღებაც მიიპყრო და მისი წინადადებით, 1927 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დატოვეს უნივერსიტეტში, როგორც პერსპექტიული ახალგაზრდა. 1941 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. 1954 წელს ვასილ ჩანტლაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1959 წელს პროფესორის წოდება მიანიჭა.

პროფესორი ვასილ ჩანტლაძე 1967 წელს ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგედ აირჩიეს, სადაც 21 წელი იმუშავა. 1974 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს – აკადემიკოსად.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში მისი დაარსებიდან 1980 წლამდე ვასილ ჩანტლაძე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თეორიული და დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის მქონე აქტუალური პრობლემების დამუშავებაში. ღვაწლმოსილი მეცნიერი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მრავალ საერთაშორისო, საზღვარგარეთულ, საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძეს დიდი წვლილი მიუძღვნის ფინანსური თეორიების მეცნიერულ დამუშავებაში. გამოქვეყნებული აქვს 205 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა უმეტესი ნაწილი ეძღვნებოდა ფინანსების თეორიას, ეკონომიკის დარგთა ფინანსებს, ფინანსების ისტორიას, ეკონომიკური აზრის ისტორიას, ეკონომიკურ ტერმინოლოგიას და სხვა.

ვასილ ჩანტლაძის შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ჩინურ (6-მილიონიანი ტირაჟით) და ინგლისურ ენებზე. შეიძლება ითქვას, არცერთი ქართველი სწავლული ეკონომისტის ნაშრომს არ ღირსებია ასეთი აღიარება. იგი 70 წელი ემსახურებოდა ქართული ფინანსური მეცნიერების განვითარებას და 40-ზე მეტი ასპირანტი, დოქტორანტი, მეცნიერების კანდიდატი აღზარდა. მისი წვლილი ამ მიმართულების განვითარებაში განუზომელია.

იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან, როგორც ფართო ერუდიციის მქონე სწავლულმა, შექმნა თავისი მძლავრი ფინანსური სკოლა. ვასილ ჩანტლაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ჯილდოები. მან დიდი ცოდნა და ენერგია მოახმარა ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობის სტუდენტებისთვის ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას, რომლებიც ქართულ ენაზე დაწერილ სხვა სახელმძღვანელოებზე სტაბილური აღმოჩნდა. მაგ: „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები“, „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, „ფულის კრედიტის და ფინანსების ისტორია“ და სხვა. საგულისხმოა, რომ სახელწოდება „ლარი“ ქართული ფულის ერთეულისათვის წამოაყენა აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ფასდაუდებელია ეროვნული ეკონომიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფია „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები.“ მასში მოცემულია დიდი პოეტისა და მოაზროვნის ეკონომიკური შეხედულებანი. ამ ნაშრომში მეცნიერული სიღინჯით, დამაჯერებლობით გადმოცემულია შოთა რუსთაველის პოეტური და ფინანსური შემოქმედების ინტეგრაციის საკითხები. ასევე მნიშვნელოვანია შრომა „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“. იგი XIX საუკუნემდელი ქართული ეკონომიკური აზრის შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. ვასილ ჩანტლაძის შრომები ეძღვნება აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებების შესწავლას. მან უდიდესი მუშაობა გასწია ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების სფეროშიც...

გარდაიცვალა 1995 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

P.S. ჩემთვის ფინანსური მეცნირება ის ლამაზი კვარცხლბეკია, რომელზედაც ჩემი ძვირფასი და საყვარელი პროფესორის – აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის ხელთუქმნელი და უნეტარესი ძეგლი დგას... სამარადისო დიდება მის უკვდავ სახელს!

გულთაზ ლაბარტყავა,
მიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,დამსახურებული ეკონომისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ქ. ფოთის საპატიო მოქალაქე.

რუსთავი-თბილისის ახალი სატრანსპორტო ხაზი ამოქმედდა!

რუსთავის მერიამ, მუნიციპალური ტრანსპორტის რეფორმის ფარგლებში, დედაქალაქის მიმართულებით კიდევ ერთი მეოთხე მარშრუტი – რუსთავი – თბილისი – მაღლივი კორპუსი აამოქმედა. ახალი სატრანსპორტო ხაზის პრეზენტაცია, დღეს რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, საქართველოს პარლამენტის დელეგატთან რუსთავიდან და გარდაბნის ისტორიული სოფლებიდან ირაკლი შატაკიშვილთან ერთად წარადგინა.

„პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ჩვენ ვასრულებთ მუნიციპალური ტრანსპორტის რეფორმის ძირითად ეტაპს. სტუდენტების მოთხოვნა შესრულებულია და დღეიდან, რუსთავიდან თბილისში უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით იმოძრავებენ მუნიციპალური ავტობუსები. დღევანდელ პრეზენტაციაზე წარვადგინეთ სწორედ ის მიმართულება, რომლითაც ძირითადად სტუდენტები ისარგებლებენ. ამ მარშრუტის 50% გასლაინზე იქნება, რაც გაცილებით კომფორტულს და მარტივს გახდის სტუდენტთა გადაადგილებას“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

საქართველოს მთავრობის დახმარებით, რუსთავის მერიამ 20 მილიონი ლარის ღირებულების პროექტი განახორციელა და 70 ერთეული ახალი, ევროსტანდარტის შესაბამისი ავტობუსი შეიძინა, რომელიც 5 სხვადასხვა მარშრუტზე გადანაწილდება.

მგზავრობის საფასურის გადახდა, საბარათე სისტემით – „რუსთავი ქარდით“, „საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ ბარათებითაა შესაძლებელი. გათვალისწინებულია საშეღავათო პაკეტი სტუდენტებისთვის, მგზავრობა უფასოა შშმ პირებისთვის.



ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, დედის დღესთან დაკავშირებით, 224 ოჯახს ერთჯერადი დახმარება გაეწია. – ინფორმაციას ბორჯომის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ფულადი დახმარება მიიღო მრავალშვილიანმა (ოთხი და მეტი შვილი) და 18 წლამდე შშმ პირების ოჯახებმა.

„აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტი 18 წლამდე შშმ პირების, ოთხ და მეტ შვილიან ოჯახებს ფულადი თანხით ყოველთვიურად ეხმარება, წელიწადში ერთხელ ფინანსდებიან სტაციონარული პროგრამით. ასევე ახალი წლისა და აღდგომის დღესასწაულზე სარგებლობენ დახმარებით.

მათ აქვთ შეღავათები, როგორც ელექტროენერგიის ასევე ბუნებრივი აირის გადასახადზე.

აღნიშნული სოციალური პროგრამა რამდენიმე წელია რაც მოქმედებს. მისი მიზანია შშმ პირების და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა და რაც მთავარია, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება",- ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორ მოვიქცეთ ძლიერი ყინვის დროს?!

ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ტემპერატურა საგრძნობლად დაეცა. ანომალიური დღეები გრძელდება... სინოპტიკოსები მომავალშიც ამინდის გაუარესებას პროგნოზირებენ. ამიტომ, გიზიარებთ რჩევებს, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ცივ ამინდში, გარეთ გასვლამდე:

ჩაიცვით თბილად. უპირატესობა მიანიჭეთ ნივთებს, რომლებიც ხელს არ უშლის სისხლის მიმოქცევას. მოერიდეთ ზედმეტად მორგებულ ჯინსებს, ნეილონის კოლგოტებს, მჭიდრო ქამრებს. ტანსაცმელი უნდა იყოს „თავისუფალი“ და თბილი, ატარეთ ხელთათმანები. არ დაივიწყოთ თბილი წინდები, ქუდი და შარფი.

აუცილებლად შეჭამეთ რამე გარეთ გასვლამდე. ეს კვება აუცილებლად უნდა შეიცავდეს ცხიმს და ცილას, ამიტომ მიირთვით მეტი ხორცი, მათ შორის, ფრინველის.

მოერიდეთ სამკაულებს – სიცივეში ისინი ისე ცივდებიან, რომ შეიძლება მოყინვა გამოიწვიოს. ჯობია, თან წაიღოთ და ადგილზე გაიკეთოთ.

დალიეთ საკმარისი წყალი: სიცივეში ყოფნისას არ ვგრძნობთ წყურვილს და გვავიწყდება წყლის დროულად დალევა. ეს იწვევს გაუწყლოებას, ამიტომ აუცილებლად დალიეთ წყალი, ჩაი ან ხილის წვენი. თუ ძლიერ ყინვაში აღმოჩნდით, არ დაგავიწყდეთ ფილტვების დაცვა – შეეცადეთ, ჩაისუნთქოთ შარფის ან ნიღბის საშუალებით, რათა ჰაერს დრო ჰქონდეს, გათბეს, სანამ სხეულში მოხვდება.

ქვევრის ღვინის მწარმოებელი მარნები იტალიის ქალაქ ბოლონიაში

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, იტალიის ქალაქ ბოლონიაში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „SLOW WINE FAIR" ქვევრის ღვინის მწარმოებელი ცხრა კომპანია მონაწილეობდა: „ანდრიას ღვინო", „მეღვინეობა მანავი", „კოლაგის მარანი", „ანაპეა", „დორემი", „ჩვენი ღვინო", „ნაფერები", „გოცას ღვინო" და „ნიაბის მარანი".

გამოფენაში მსოფლიოს 29 ქვეყნის 1000-მდე ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. იტალიურ ღვინოებთან ერთად, წარმოდგენილი იყო ღვინოები საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან. გამოფენის ფარგლებში გაიმართა ღვინის ინდუსტრიასთან დაკავშირებული სხვადასხვა თემატური კონფერენცია და მასტერკლასები. გამოფენას, ტრადიციულად, ათასობით სტუმარი, მათ შორის, ღვინის პროფესიონალები და სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რაც მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის, ღვინის მწარმოებლების მიერ პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდისთვის.

„SLOW WINE FAIR" უკვე მეოთხედ ჩატარდა. ქართული ღვინის მარნები გამოფენაში პირველად მონაწილეობდნენ.

გამოფენაზე ღვინის წარსადგენად ქართველმა მეწარმეებმა მხარდაჭერა იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსგანაც მიიღეს.

აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

ახალგაზრდობის სურვილი იყო, თავისი თეატრი შეექმნათ. მეც ვიყავ მოსურნე, შექმნილიყო ახალგაზრდობის თეატრი, მაგრამ ამისი დრო არ იყო. ეტყობა, ვიღაცამ დაარწმუნა ისინი, ახალი თეატრის შექმნის ნაცვლად, შიგნით ებრძოლათ, რომ თეატრი ხელში ჩაეგდოთ.

ვგრძნობდი, რომ დღითი დღე მწვავდებოდა მდგომარეობა და მეც გადავწყვიტე, შემეკრიბა თეატრის კოლექტივი და ყველას გვეთქვა, ვის რა სტკიოდა, რა აწუხებდა, თათბირი გაგრძელდა სამ დღემდე. თათბირმა ვერაფერი მოგვცა ერთის გარდა — აშკარა გახდა, რომ ახალგაზრდობა ამხედრებული იყო თეატრის ძველგაზრდების მიმართ და, მათ შორის, ჩემზედაც, როგორც ხელმძღვანელზე. ამბობდნენ, რომ ყველა სეზონი, ახმეტელის შემდეგ, ჩავარდნილი იყო

კოტე მარჯანიშვილი, თამარ ვახვახიშვილი, ელენე ლოლობერიძე და პეტრე ოცხელი

და, თუ ყურადსაღებია რომელიმე წარმოდგენა, მხოლოდ „არსენა“ და „ოტელო“. ბელადობდა ახალგაზრდობას ა. დვალიშვილი. მ. თუმანიშვილი, როგორც მას სჩვევია, იყო მუდოსავით, ხმას არ იღებდა, თუმცა ქვეშ-ქვეშ მთელი ინტრიგანობის სულისჩამდგმელი იყო. ახალგაზრდობის სურვილი იყო, თავისი თეატრი შეექმნათ. მეც ვიყავ მოსურნე, შექმნილიყო ახალგაზრდობის თეატრი, მაგრამ ამისი დრო არ იყო. ეტყობა, ვიღაცამ დაარწმუნა ისინი, ახალი თეატრის შექმნის ნაცვლად, შიგნით ებრძოლათ, რომ თეატრი ხელში ჩაეგდოთ. დარწმუნებული ვარ, ამ იდეის სულისჩამდგმელი ზოგიერთებთან ერთად იყო კომკავშირის ცკ-ის მდივანი ჯანელიძე, რომელიც მეგობრობდა ახალგაზრდობასთან, ქეიფობდა და დროს ატარებდა მათთან. არ ვიცი, საიდან, ვიღაცამ დაარწმუნა ახალგაზრდები, რომ ცკ-ში ჩემით უკმაყოფილონი არიან და აი, აქ დაიწყო ჯირითი, თუ ვინ მეტ სისაძაგლეს იტყოდა ჩემზე. ამით სურდათ, თუ ვინიცობაა, მე მომხსნიდნენ — უფროსების თუ უმცროსების ჯგუფს შეექმნათ შთაგეჭდილება მთავრობაში, რომ ისინი იბრძვიან თეატრის კეთილდღეობისათვის. ვგრძნობდი რა თეატრში დაჭიმულ მდგომარეობას, გადავწყვიტე, შემეტანა განცხადება ჩემი დირექტორობიდან განთავისუფლების შესახებ. რამდენიმე ხანი ჩემი ეს განცხადება დარჩა უპასუხოდ. მუშაობაზე გული გამიფუჭდა. ვასაძემ იფიქრა, რომ ჩემი საქმე ცუდათ არის და გამიდგა განზე და მიემხრო ჩემს მოწინააღმდეგეს იმ ფიქრით, რომ ხორავას მოხსნიან და ბურთი და მოედანი მას დარჩებოდა. იქნამდის მივიდა ვასაძე, რომ კულტურის მინისტრთან განაცხადა, რომ ის ვერ იმუშავებს ჩემთან.

ახალგაზრდობას თეატრის ხელში ჩაგდება უნდოდა, საშუალო თაობამ იფიქრა, რომ, თუ ხორავას მოხსნიდნენ, ვასაძე ჩაუდგებოდა სათავეში და ახალგაზრდობაც აილაგმებოდა. შეიქმნა ინტერესთა თამაში. ანგარიშის გასწორება. გაავრცელეს ათასნაირი ჭორი, ხმა გავიდა ქალაქში. ჩემს წინააღმდეგ ალაპარაკდნენ ყველანი, ვინც სტალინის სახელობის ლაურეატობა ვერ მიიღო (მწერლები, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები, თეატრიდან გარიცხული მსახიობები. ხმა ამოიღეს იმათაც, ვინც სახელწოდებები თუ ორდენები ვერ მიიღეს, თითქოს მე მეკითხებოდნენ, ვისთვის მიეცათ ლაურეატობა, სახელწოდება თუ ორდენი. თეატრის მუშაობის წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსთაველის თეატრის მტრები, ყოფილი მარჯანიშვილისტები, რომლებიც დიდი ხანია ლამობდენ ჩვენი თეატრის დანგრევას და, პირველ რიგში, ჩემ გაწბილებას, რადგან თვლიდნენ, თუ მე მომაშორებდნენ თეატრს, თავისთავად დაირღვეოდა. რასაკვირველია, თეატრის ამბები მიდიოდა ცკ-ში უფრო გაზვიადებულად და, ასე ვთქვათ, მთელი ამ ორომტრიალის ფოკუსში მე ვიყავი. მე კი ვიყავი ჩემთვის, ვმუშაობდი, როგორც შემეძლო, და დარწმუნებული ვიყავი, რომ ცკ-ში ყველაფერი გამოაშკარავდებოდა. მესმოდა ხმები, რომ თეატრში დესპოტი ვარ (თუ წესრიგის და დისციპლინის განმტკიცება დესპოტიზმია). რომ მხოლოდ ჩემ თავზე ვფიქრობ და ვდევნი ახალგაზრდობას (დე, ახალგაზრდობის სინდისზე იყოს ეს აღმაშფოთებელი ბრალდება), რომ ქართულ დრამატურგიას არ ვაბოგინებ თეატრში (თუ უნიჭო და უვარგისია, ასე ვთქვათ, რუსები რომ იტყვიან დრამოდელთ, ამნაირი ნაცოდვილარისაგან ვიფარავდი თეატრს), რომ მე ყველაფერს ვაკეთებ, რათა თეატრში მარტო მე გამოვჩნდე მთავრობის წინაშე, რომ ყველაფერს მე ვთამაშობ, რომ პრესაში მე ვაწერინებ რეცენზიებს კარგსა თუ ცუდს — მსახიობებზე თუ რეჟისორებზე, რომ მე და ვასაძემ დავაჭერინეთ ახმეტელი და სხვები და დავღუპეთ ისინი (ამ საკითხზე ცალკე მექნება საუბარი). იქნობამდის მივიდნენ, რომ გარყვნილებაც კი დამწამეს. ამტკიცებდნენ, რომ მე არავითარი მსახიობი არა ვარ, რომ სტალინმა და ბერიამ გამბერეს, როგორც შემოქმედი, და, ვინ იცის, კიდევ რას არ ამბობდნენ. სამწუხაროდ, ეს ამბები მხოლოდ ჩემი მოხსნის შემდეგ გავიგე. იმხანად დაიწყო სტალინის კულტის დამუშავება და მე, როგორც ვითომ „მისი კაცი“, არ მომწონდა ახალი ხელმძღვანელობა, მისი საქმიანობა და, ვინ მოთვლის, კიდევ რა.

დადგა საკითხი რუსთაველის თეატრის მდგომარეობის შესახებ ცკ-ის ბიუროზე. ვგრძნობდი, რაღაც ხდებოდა ჩემ თავს და არ ვიცოდი კი, რა. დაიწყო ბიურო. კრებას ესწრებოდნენ: მე, ვასაძე, დვალიშვილი, ალექსიძე, თუმანიშვილი, ალ. აფხაიძე, ემ. აფხაიძე, რ. ჩხიკვაძე. გამომსვლელები მოითხოვდნენ ჩვენს (ჩემი და ვასაძის) მოხსნას, რადგან ჩვენ სათანადოდ ვერ ვუძღვებოდით საქმეს. ბრალდება იყო ახალგაზრდობის უგულველყოფა, ქართული დრამატურგიის დევნა, დესპოტიზმი და სხვა. არცერთი კაცი თეატრიდან არ გამოვიდა ჩვენს დასაცავად. მერე იქ იყვნენ სწორედ ისეთები, რომელთათვის ბევრი რამ გამიკეთებია და, როდესაც მე მომეცა სიტყვა, ისე ვიყავ აღელვებული, რომ ვერა ვთქვი რა, უნდა ვთქვა, ჩემდა სამარცხვინოდ, ცრემლები მომადგა, კინაღამ ისტერიკა დამემართა. ახალგაზრდები, რომელთათვის დღედაღამ ვზრუნავდი, ვცდილობდი მათი შემოქმედებით გაზრდას; ძველგაზრდელები, რომლებიც დაპატიმრებისაგან გადამირჩენია... დღეს ბრალმდებლად გამოდიოდნენ. საკმარისია ერთი ფაქტი მოვიგონო: ალ. აფხაიძე, რომელსაც ახმეტელი არ ღებულობდა თეატრში, როგორც ინტრიგანს, მიღებული იყო ვასაძის მიერ. იმდენად ორპირი და არაკეთილსინდისიერი, ამორალური კაცი აღმოჩნდა, რომ ხშირად იდგა საკითხი მისი მოხსნის შესახებ, მაგრამ, ვუწევდი რა ანგარიშს შალვა აფხაიძის (ძმა იყო ალ. აფხაიძის) თხოვნას და ვფიქრობდი, რომ ბოლოს და ბოლოს, გამოსწორდებოდა, ვინახავდი თეატრში. აფხაიძის „პოდხალიმობას“ საზღვარი არა ჰქონდა. ჩემს პალტოს კოცნიდა და დედ-მამის მაგიერად — ხორავას ვფიცავო, — ამბობდა, მან პარტიის საწევრო ანარიცხები 10000 მანეთის ოდენობით შეჭამა და დიდი ამბავი დამჭირდა, რომ პარტიიდან არ გამოეგდოთ. გამოუცხადეს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და გაფლანგული ფული შეატანინეს (ნაწილი გაფლანგული თანხის დასაფარავად მე შევიტანე).

და აი ეს უმადური ადამიანი დადიოდა თეატრში და ყველას ეკითხებოდა: „როგორ ფიქრობთ, ხორავას თუ მოხსნიან“? ვერ გადაეწყვიტა, რა ორიენტაციას დასდგომოდა. და, რომ დარწმუნდა, ჩემი მოხსნა გადაწყვეტილი იყო, გაშალა სასტიკი მუშაობა ჩემს წინააღმდეგ, რასაკვირველია, მე არასოდეს მიფიქრია, რომ ვისმეს დავხმარებოდი ანგარების მიზნით, არასდროს არ ვყოფილვარ კრიტიკის წინააღმდეგი და ყველას ვაძლევდი უფლებას, ვაძლევდი და არა — ვთხოვდი, ჩემი მუშაობის ნაკლზე მიეთითებინათ. და განა მარტო ალ. აფხაიძე იყო ასეთი — თითქმის სუყველანი. თითქოს ხალხი რაღაცამ შესცვალაო. მე რომ

ამტკიცებდნენ, რომ მე არავითარი მსახიობი არა ვარ, რომ სტალინმა და ბერიამ გამბერეს, როგორც შემოქმედი, და, ვინ იცის, კიდევ რას არ ამბობდნენ. სამწუხაროდ, ეს ამბები მხოლოდ ჩემი მოხსნის შემდეგ გავიგე.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ N24, 25, 28-29

ბიუროზე ყველაფერი მელაპარაკნა, რაც ვიცოდი ბევრ მსახიობზე, შეიძლება ისინი დიდათ გაილანძღებოდნენ, მაგრამ აღელვებისა გამო ვერა ვთქვი.

განსაკუთრებით ამაღელვა ვასაძის განცხადებამ, რომ ის ჩემთან ვერ იმუშავებდა. დე, ვასაძის სინდისზე იყოს ეს განცხადება. მწყინს, რომ ასეთი უღირსი ხალხის სიტყვები, სავსე ჭორებით და ინსინუაციებით, გახდა საბუთები ჩვენი მოხსნისათვის. როგორც შევამჩნიე, გადაწყვეტილი იყო ჩემი სრულიად მოხსნა თეატრიდან. მაგრამ ვასილ მჟავანაძეს უნდა ვუმადლოდე, რომ თეატრში მსახიობად მაინც დამტოვეს.

სანამ საკითხი ბიუროზე გავიდოდა, კაცმა არ დამიძახა, რომ მშვიდობიან პირობებში მეც მეთქვა ჩემი სიტყვა. მაშინ, დარწმუნებული ვარ, საქმე სხვანაირად შეტრიალდებოდა. მზაკვრულად გამწირეს და ხალხშიც სახელი გამიტეხეს. ეს მიქნეს ჩემმა გაზრდილმა ახალგაზრდობამ და ძველგაზრდობამაც. რომ ჩემს ირგვლივ ინტერესთა თამაში დატრიალდა, ამას ისიც ადასტურებს, რომ სწორედ მოხსნის დღეს, საღამოს, თეატრის სარეჟისორო ოთახში ალექსიძეს და თუმანიშვილს დიდი ჩხუბი მოუვიდათ, თუ ვინ იქნებოდა მათ შორის მთავარი რეჟისორი. აქედან დაიწყო ჯგუფობანა თეატრში და მათი ბრძოლა უფლებებისათვის, რამაც თეატრი მიიყვანა კატასტროფამდე როგორც ორგანიზაციულად, ისევე შემოქმედებითად.

ინგლისელები ამბობენ: „**უმადურობა, ეს ყველაზე დიდი ნაკლია**“.

რასაკვირველია, ეს ფაქტი დიდი ტრავმა იყო ჩემთვის და ახლაც არის. არა, მე დირექტორობა არ მაწუხებს. მაწუხებს ის, რომ დამბრალდა ყოველივე ბოროტება, რომ როგორმე ჩემთვის სახელი გაეტეხათ, ქართველი ხალხის წინაშე შევერცხვინე, რომ ხალხის წინაშე თავი გაემართლებინათ თავისი საქციელის გამო. მაგრამ მე ბედნიერი ვარ, რომ ხალხმა იგრძნო, რაშიც იყო საქმე და თავისი გულისყური და სიყვარული არ მომაკლო. ჯანდაბას ჩემი თავი, მაგრამ თეატრს რომ არა ეშველა რა.

თეატრი გაიხრწნა იდეურად, მორალურად. გამეფდა არა საბჭოური ეთიკა, მორალი, არამედ ისეთი უარყოფითი თვისებები გამოვლინდა, რაც რევოლუციამდელ მსახიობებს არ ახასიათებდათ: კარიერიზმი, ერთმანეთის სიძულვილი, გაუტანლობა, ერთმანეთის ქება, ავადმყოფური პატივმოყვარეობა, ჭორიკანობა, „პოდრაღმობა“ გამეფდა თეატრში და, რაც უნდა ეცადოს ზოგიერთი დაინტერესებული კრიტიკოსი რუსთაველის თეატრის გამარჯვებებზე წერას და ხელოვნურად მისი შემოქმედებითი ცხოვრების ავტორიტეტის შექმნას — მკვდარს მაინც ვერ გააცოცხლებენ. თეატრმა დაკარგა ავტორიტეტი, ყოველგვარი ტრადიციები უარყოფილ იქნა. ახალგაზრდობის სურვილმა — თეატრის ხელში ჩაგდებისა — თითქმის გაიმარჯვა, საშუალო თაობიდან თითქმის სუყველანი გაძევებულია თეატრიდან — ისეთებიც კი, ვინც ნიჭიერ და საჭირო ძალას წარმოადგენდა და დატოვებულია თეატრში ბევრი უნიჭო, უპერსპექტივო ახალგაზრდა. ხელოვნების მესვეურებს ავიწყდებათ, რომ ახალგაზრდობა ღირსება კი არ არის — უპირატესობაა. და, რომ შემოქმედებაში ხანში შესული შეიძლება უფრო თანამედროვე იყოს და მეტი სარგებლობის მომტანი, ვინემ უნიჭო და უსაქმური ახალგაზრდა მსახიობი.

მწყინს და გული მტკივა, რომ ნიჭიერი მსახიობები გაიტაცა დიპლომატიამ, პოლიტიკამ თეატრში. შემოქმედებითად

ხელოვნების მესვეურებს ავიწყდებათ, რომ ახალგაზრდობა ღირსება კი არ არის — უპირატესობაა. და, რომ შემოქმედებაში ხანში შესული შეიძლება უფრო თანამედროვე იყოს და მეტი სარგებლობის მომტანი, ვინემ უნიჭო და უსაქმური ახალგაზრდა მსახიობი.

დაიშტამპნენ და უკვე შუახნის კაცებს ჯერ არაფერი გაუკეთებიათ, რომ ქართულ თეატრს შეეძლოს იამაყოს.

*

1946 წელს სხვებთან ერთად მოვხვდი გაგრაში სტალინთან. იყვნენ ჩარკვიანი, ვასო ეგნატაშვილი, კარანაძე, შარია, ვასაძე, ბაღაშვილი; სტალინის მოწაფეობის ნაამხანაგარნი პეტა კაპანაძე, ცერაძე (მოჭიდავე) და სხვები. არ ვიცი, ვინ მოაწყო ეს ამბავი. ვითვლებოდით სტალინის სტუმრებად. ჩასვლის მეორე დღეს მიგვიღო თავის აგარაკზე. თვითონ გამოგვეგება და მიგვიწვია ოთახში. თვითონ არ დაჯდა, თუმც გვეპატიჟებოდა, დავმსხდარიყავით, მაგრამ ჩვენ, აბა, როგორ დავჯდებოდით, როდესაც ის ფეხზე იდგა. ჩამოვარდა საუბარი. ჩვენ გაჩუმებულნი ვიყავით. უფრო საუბარში ღებულობდნენ მონაწილეობას ეგნატაშვილი და მისი მოწაფეობის ამხანაგები. ერთმა მისმა ნაამხანაგარმა (სამწუხაროდ, გვარი არ მახსენდება) სთხოვა სტალინს, გაეთავისუფლებინა მისი დაპატიმრებული სიძე. სტალინმა უპასუხა „ხომ იცი, ასეთი საკითხი მე არ მეხება, ეს ბერიას საქმეა“, სტალინმა ჰკითხა ეგნატაშვილს: რას ფიქრობ, ვასო, ომი იქნება თუ არაო. ეგნატაშვილმა უპასუხა — არ იქნებაო; სტალინმა გაიკვირვა, რა იციო. ვასომ უპასუხა: „არ იქნება, სტალინმა თქვა, არ იქნებაო“. „სტალინმა რაც თქვა, ეს მე ვიცი, შენ როგორ ფიქრობ“. „რაკი სტალინმა თქვა, არ იქნებაო, მაშასადამე, არ იქნება“, — უპასუხა ვასომ. ჩამთავრდა ლაპარაკი განვლილ ომზე: ომი საშინელებააო, — თქვა მან, „რამდენი მილიონი ხალხი დაიღუპა, რამდენი ნგრევა მოჰყვა, რამდენი სისხლი დაიღვარა“ — დამწუხრებულმა წარმოთქვა და აღელვებულმა გაიარ-გამოიარა. ჩვენ ვიგრძენით, რომ ხალხის მამა წუხდა ომში დაღუპული შვილების გამო. მისი ოთახში სიარულის დროს ჩვენ ხმა არ ამოგვიღია. ჩამოვარდა, რუსები რომ იტყვიან, „**святая тишина**“. ვერავინ ბედავდა ამ სიჩუმის დარღვევას. ხოლო ვიღაც მოკრძალებით შეეკითხა — სად არის მოლოტოვი, სად ისვენებსო. სტალინმა პატარა პაუზის შემდეგ ამოიოხრა და თქვა „**устали ребята**“, დიდი ჯაფა გადაიტანეს მათ ამ ომის დროს. არცკი დაუსვენიათ. უნდა დავასვენო, ცოდვანი არიან“. ისევ გაიარ-გამოიარა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მიგვიწვია სუფრაზე, რომელიც აივანზე გაეშალათ. აივანი ზღვას გადაჰყურებდა. ლამაზი ხედი ჩანდა. თვითონ გასწია-გამოსწია ფარდები აივნისა, რომ ზღვის ნიავი არ მოგვხვედროდა და არ გავცივებულიყავით. სუფრა უკვე გაწყობილი იყო. მოსამსახურე ქალმა ვინეგრეტი შემოიტანა, „**убери, убери, тут грузины сидят, они это не будут кушать**“...(**გაიტანე, გაიტანე,აქ ქართველები სხედან, ისინი ამას არ მიირთმევენ**). თამადად ბერია დანიშნა, რომელიც მაგიდის თავში დასვა. თვითონ კუთხეში დაჯდა. ნამდვილი ქართველი მასპინძელი იყო: ღვინოს თვითონ უსხამდა ყველას. ურჩევდა, რომელი დაელიათ. გვირჩევდა ატენურს. საჭმელებს თვითონ გვიღებდა თეფშებზე. რასაკვირველია, ყოველი ორი-სამი სადღეგრძელოს შემდეგ მუდამ სტალინის სადღეგრძელო ისმებოდა. კარგ გუნებაზე დადგა, ოხუნჯობდა, იცინოდა. ეტყობოდა, რომ უხაროდა ქართველებთან ჯდომა.

გაგრძელება იქნება

რუსთაველის თეატრის დასი პრემიერის შემდეგ ბორჯომში. 1923 წ

ბელგიის მძიმეწონოსანმა პრემიერმა საკუთარი დიეტით 50 კილოგრამი დაიკლო

ბელგია მსოფლიოში ცნობილი ქვეყანაა. მის დედაქალაქში ევროკავშირისა და ნატოს შტაბბინაა განთავსებული. არადა, როგორც სახელმწიფო, მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაარსდა. მანამდე, სხვადასხვა დროს, მისი ტერიტორია, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ესპანეთის სამეფოების ნაწილი იყო. ახლა ბელგია თავადაა სამეფო, რომელიც სამ რეგიონს მოიცავს: ქვეყნის ჩრდილოეთი ჰოლანდიურ ენაზე მოლაპარაკე ფლანდრიას უკავია, სამხრეთში ფრანგულენოვანი ვალონია მდებარეობს. მესამე რეგიონია ძალიან მცირე-ზომის აღმოსავლეთ-კანტონია, რომლის მოსახლეობა გერმანულად საუბრობს. ერთი სიტყვით, ბელგიაში სამი სახელმწიფო ენაა. ქვეყანა ფედერალურ საპარლამენტო დემოკრატიაზე დაფუძნებული კონსტიტუციური მონარქიაა. ყველა რეგიონს, რომელიც პროვინციებად იყოფა, თავისი პარლამენტი და მთავრობა ჰყავს. დედაქალაქი ბრიუსელი არცერთ პროვინციაში არ შედის. ის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულია. სახელმწიფოს მეთაური ბელგიელთა მეფეა! მთავრობის მეთაური კი პრემიერ-მინისტრია.

ბელგიის ახლანდელი პრემიერი 54 წლის ბარტ დე ვევერია. ის ანტვერპენის პროვინციის ქალაქ მორტსელში, რკინიგზელის ოჯახში დაიბადა. დედა პატარა სასურსათო მაღაზიის მფლობელი და გამყიდველი იყო. დე ვევერების ოჯახის წევრები ტრადიციული ნაციონალისტები არიან. ეროვნული მოძრაობა, ასაკით, ბელგიის სახელმწიფოს ტოლია, რომელიც ფლანდრიის დამოუკიდებლობის, ან ჰოლანდიასთან შეერთებისთვის იბრძვის. ბარტ დე ვევერის პაპა რადიკალური მემარჯვენე პარტიის, ფლანდრიის ეროვნული კავშირის აქტიური წევრი იყო. პატარა ბარტ დე ვევერი, ოჯახთან ერთად, ხშირად მონაწილეობდა ხოლმე დემონსტრაციებში. ბარტ დე ვევერს ერთი ძმა ჰყავს, რომელიც ფლანდრაში ცნობილი ისტორიკოსია. თავადაც ისტორიკოსია. ლიოვენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, იქვე მუშაობდა ისტორიკოსად. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ფლანდრიული ენციკლოპედიის შექმნაში. ბარტ დე ვევერი რამდენიმე გაზეთის მთავარი რედაქტორიც იყო. ოჯახური ტრადიციის მიხედვით, ფლანდრიის სახალხო კავშირის წევრი გახდა და 1996 წელს ქალაქ ბერჰემის საკრებულოს წევრად აირჩიეს. 2001 წელს, შიდა პარტიული კრიზისის გამო, ფლანდრიის სახალხო კავშირი დაიშალა. იმავე წელს ფლანდრიელმა ნაციონალისტებმა, გერტ ბულჟუამ და ბარტ დე ვევერმა ახალი პარტია დააარსეს, სახელწოდებით, ფლანდრიის ახალი ალიანსი. 2004 წლიდან დღემდე, ბარტ დე ვევერი ამ პარტიის ლიდერია, თუმცა, მისივე თხოვნით, ოფიციალური სამთავრობო თანამდებობა არ ჰქონია. მხოლოდ პარტიული და საპარლამენტო საქმიანობით იყო დაკავებული.

ამ ხნის განმავლობაში, ბარტ დე ვევერი ფლანდრიის რეგიონის რამდენიმე ქვეყნის პარლამენტის სამი მოწვევის წევრი იყო. 2010-13 წლებში ბელგიის სენატის წევრიც გახლდათ. 2007-წელს ბელგიაში ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი დაიწყო, რომელიც ფლანდრიულმა სეპარატიზმმა გამოიწვია. მაშინ ბელგია მთელს მსოფლიოსთან ერთად ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. მაშინდელმა მთავრობამ საფინანსო და საბიუჯეტო პროგრამების შეკვეცა დაიწყო, რამაც, ფლანდრიაში დიდი სახალხო უკმაყოფილება გამოიწვია. ფლანდრიაში იმიტომ, რომ კეთილდღეობით გათამამებული ფლანდრიელები განსაკუთრებულ შეღავათებს ითხოვდნენ. ამ ამბავმა მაშინდელი მინისტრთა კაბინეტი შეიწირა. 2010-წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, მაგრამ კონფლიქტი მაინც ვერ აღმოიფხვრა. ქვეყნის დაწყნარებას ერთი წელი დასჭირდა. 2013-25 წლებში ბარტ დე ვევერი ანტვერპენის მერი იყო. მისი პარტია მაშინდელი პრემიერ-მინისტრის შარლ მიშელის მიერ შექმნილ კოალიციაში შევიდა, მაგრამ, 2018 წელს, მიგრანტთა პრობლემების გამო, ბარტ დე ვევერის პარტიამ სამთავრობო კოალიცია დატოვა. 2019 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარტ დე ვევერის პარტია პირველ ადგილზე გავიდა, მაგრამ მასთან და მის პარტიასთან არავის არ უნდოდა თანამშრომლობა. მოგვიანებით, სხვა პარტიებმა, ალექსანდრ დე კროოს ხელმძღვანელობით, კოალიცია შექმნა. ბარტ დე ვევერი კი, ოპოზიციაში გადავიდა. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარტ დე ვევერის პარტია ისევ პირველ ადგილზე გავიდა, თუმცა, ქვეყნის სათავეში მოსვლისთვის, ისევ, კოალიციის შექმნა დასჭირდათ. პროცესი 8 თვემდე გაიწელა. ბოლოს, მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ხუთი პარტიისგან შემდგარი სამთავრობო კოალიცია შედგა, რომელშიც, სამი ფლანდრიული და ორი ფრანგულენოვანი პარტია შევიდა. ბარტ დე ვევერი კი, ბელგიის 55-ე და პირველი ფლანდრიელი ნაციონალისტი პრემიერ-მინისტრი გახდა.

ბარტ დე ვევერი კონსერვატორ-ნაციონალისტია, რომელიც ფლანდრიის დამოუკიდებლობას უჭერს მხარს. მისი თქმით, ბელგიის სახელმწიფო პერმანენტულ კრიზისშია და გამოსავალი მხოლოდ ფლანდრიის დამოუკიდებლობაა. ბარტ დე ვევერი ბრწყინვალე ორატორია. გამოსვლებში მას ლათინური ფრაზების გამოყენება უყვარს. იგი რადიკალური და ქსენოფობიური გამოსვლებითაცაა ცნობილი. როცა ფლანდრიის რეგიონში უფრო მეტი ფრანგულენოვანი სკოლების გახსნის საკითხი დადგა, ასე თქვა, ფლანდრიაში ეროვნული უმცირესობები არ არსებობს, ისინი მხოლოდ მიგრანტები არიანო.

ბარტ დე ვევერი მკაცრია ნამდვილი მიგრანტების მიმართაც. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ის გაუჩერებლად აკრიტიკებდა ბელგიის ხელმძღვანელობას. მისი აზრით, აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მოზღვავებულმა მიგრანტთა ნაკადმა ბელგიაში შესამჩნევად გააუარესა ცხოვრება, როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. ანტვერპენის ებრაელთა სათვისტომო შუასაუკუნეებიდან არსებობს, მაგრამ მათ არასდროს არ უცდიათ თავიანთი რელიგიისა და კულტურის თავზე მოხვევა. აქაური მუსლიმი მიგრანტები კი, ყოველდღე ითხოვენ ჩვენი ადათ-წესების შეცვლას. ჩვენი, ლიბერალები კი ამ ყველაფერზე მათ თავს უხრიანო, განაცხადა ბარტ დე ვევერმა. ასეთი რადიკალური გამოსვლების გამო, ბელგიის მთავრობამ ბარტ დე ვევერს ჯერ კიდევ 2013 წელს, სახელმწიფო დაცვა დაუნიშნა. მისივე თქმით, ის ხშირად იღებს მუქარებს მისი მკვლელობის შესახებ. ერთხელ ფოსტით წერილი მიიღო, რომელშიც სიმბოლურად ერთი ტყვია იდო. 2009 წელს ბარტ დე ვევერი ქუიზ-შოუ ტელეგადაცემაში მონაწილეობდა, რომელშიც საყოველთაოდ აჩვენა თავისი ერუდიცია და ფინალშიც მოხვდა, რის შემდეგ მისი რეიტინგი შესამჩნევად გაიზარდა. 2012 წლამდე ბარტ დე ვევერს ჭარბი წონა ჰქონდა და თავისი გამოგონილი დიეტით 6 თვეში 50 კილოგრამი დაიკლო. დიეტა, რომელიც მის სახელს ატარებს, ბელგიაში ძალიან პოპულარული გახდა. ბარტ დე ვევერი ბედნიერ ქორწინებაშია. წყვილს ოთხი შვილი ჰყავს.

ნუგზარ (ბ) რუხაძე,
POSTV

მოვლენების ჰეალდაკვალ

ჯეი ვენსმა ევროპელები ბურთივით აკენწლა!

მესამე გვერდიდან

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მყარად და ბევრჯერ გაიმეორა. „მაიდანი არ იქნება, უკრაინიზაცია არ მოხდება.“

მსოფლიოში ყველამ იცის, რომ რუსეთი საფრთხეა, თუმცა ევროპა, რომ არაადეკვატურად იქცევა და ამერიკის წინა მთავრობამ რა დამართა უკრაინას, არც ესაა უცხო... ახლა რუსეთის დიდი რვიანის ფორმატში მიწვევას აპირებენ. ჯეი ვენსმა ხმამაღლა განაცხადა, რომ რუსეთი და ჩინეთი კი არ არიან საშიში და საფრთხე, არამედ ევროპელი ფსევდოლიბერალები.

მჯერა, რომ ამერიკის ახალ ადმინისტრაციას დრო სჭირდებათ გადასაწყობად.

ვფიქრობ, ტრამპი, შეძლებს ბოლომდე მიიყვანოს რაც ჩაიფიქრა. მართალია, ამჟამად ყრუ კედელს მიადგნენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოკლევადიანად ძალის არგუმენტის პრიმატიდან, არგუმენტის ძალაზე რომაა აქცენტი – ეს უკვე კარგია.

გვეიმედება, რომ ტრამპი და მის გუნდი კიდევ უფრო რეალური საკითხების გადაჭრას შემოგვთავაზებს განცხადებებს იქით.

საქართველოს დადებითი მოლოდინი აქვს. უნდა აღდგეს ამერიკა – საქართველოს პარტნიორული ურთიერთობა. ეს ღირსების საქმეც გახლავთ. მახსენდება სახელოვანი მწერლის ნოდარ დუმბაძის სიტყვები: **,,ღირსებაა პერანგი არ არის, ვინმემ გაგხადოს ან ჩაგაცვას, ის სულის სამოსელია და არა სხეულის. დღეგამოშვებით ვერ იქნები ღირსეული და უღირსი. ღირსეული ან სამუდამოდ ხარ ან არასოდეს“.**

რადგან ღირსება სულის სამოსელია, საქართველოს სული სუფთა აქვს ამერიკასთან და გნებავთ, ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ღირსეული ქცევაა, პატივს სცემდე სხვას და იცავდე საკუთარ იდენტობას, სარწმუნოებას, ტრადიციასა და ეროვნულ ღირებულებებს.

მყვირალა ოპოზიციას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ხმამაღლა ჯერ ერიდებიან ტრამპის გაკრიტიკებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ გულში აგინებენ და დედ-მამას უტრიალებენ საფლავში.

კატა ვიდრე ახტება, გონებით ზომავს, მისწვდება თუ არა სამიზნეს და მერე აკეთებს ნახტომს.

კატა არც ისე გონიერი არსებაა ცხოველთა შორის, მაგრამ ყოფნის „ჭკუა“, იმას მაინც მიხვდეს, გარჯა შედეგიანი ექნება თუ არა.

ჩვენი რადიკალური ოპოზიციის რა მოგახსენოთ? როგორც კი ხელისუფლების მოხელეთების შანსი გაიელვებს, კატასავით ხტიან, ხტიან... მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ. რადგან ვერ ხვდებიან, რომ იმდენად დაცემულნი არიან, და მათი სამიზნე ისე მაღლაა, ვერაფრით ახერხებენ მიწვდენას.

დიახ, დიახ!

ვერც ვერასოდეს მოახერხებენ ქვეყნის მოღალატეები მიზნის მიღწევას. რადგან ხალხს საოცარი მეხსიერება აქვს და არ გაახარებს სარეველას. იმიტომ, რომ წარსულის უსარგებლო ნარჩენებს ცუდი სუნი ასდის.

ეჰ, არ ვიცი, რა რჩევა მოგცეთ, თქვე დაბნეულებო.

ვერ ხედავთ, ქვეყანა აგრძელებს ჩვეულებრივ ცხოვრებას. პარლამენტი – ფუნქციონირებას. მთავრობა ენერგიულად ცდილობს პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულებას. საზღვარგარეთ მიდიან ხელისუფლების წარმომადგენლები, ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები იდება, საქართველოში ევროპული და მსოფლიო დონის ღონისძიებები ტარდება...

დარჩა კიდევ რაიმე, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანა ჩამოშლის პირასაა!

პირიქით. თქვენი საბოტაჟის მიუხედავად, ქვეყანა კავკასიაში ეკონომიკური განვითარების დონით პირველია!

ხელისუფლება ევროკავშირის დროშებს აფრიალებს. თქვენ კი თუთიყუშივით იმეორებთ, რუსული მთავრობაო!

ულოგიკო ჩხავილია, რომელიც მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს სჯერა.

ბოლოს და ბოლოს, მიხვდით, თქვენი ევროპელი ,,ლობისტების“ ყალბი რეალობის რღვევის დრო დაიწყო.

სიმართლე ქართველი ხალხის მხარესაა.

ბორის დავითაია,
მწერალი, პუბლიცისტი
სენაკი.

გამორჩეული ხმის პოეტი ქეთევან შენგელია

საიუბილეო თარიღი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ მწერალს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ქეთევან ალიოშას ასულ შენგელიას. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ქეთევან!
ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის მეტად კოლორიტულ და მნიშვნელოვან წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენ სცხოვრებაში – დაბადების დღეს და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს.

დიახ, ოთხი ათეული წელი გასულა მას შემდეგ, რაც თქვენი სამწერლო კურთხევა მოხდა. 1985 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები, რომლებმაც ლიტერატურული სამყაროს ახალი ნიჭიერი, მოაზროვნე, სამშობლოს გედზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედის დაბადება ამცნო.

მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ესსეები, სამეცნიერო სტატიები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო თუ სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ გამორჩეული პოეტი ხართ. თქვენი პოეტური კრებულები („თოვლივით თეთრი“, „მწუხარება“, „აკაციის ხეივანი“, „მზე და ღრუბელი“, „ქარიშხლის ტაში“, „ასი ლექსი“...) შეიყვარა გემოვნებიანმა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა თუნდაც იმიტომ, რომ მათი ავტორი ქართველ პოეტთა იმ მცირერიცხოვან რაზმს ეკუთვნის, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე ქართული პოეზიის დონეს. ამ კრებულებში შესულ ლექსებში ხომ დიდ ქართველ განოვანთა ღირსეული შთამომავლის სულიერი ღაღადისია აღბეჭდილი.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი აუხდენელი ოცნებების მეხოტბეა, ტკივილებთან და სინანულთან წილნაყარი ოცნებების მეხოტბე. იცის, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ მზემდე მიღწევა შეუძლებელია და მაინც მისკენ ისწრაფვის, მასთან უნდა მიახლება, რათა იმ იგავმიუწვდომელი ლაჟვარდებიდან მოიხილოს სამშობლოს სანახები, დატკბეს ივერთა საუფლოს ფირუზ-ლაჟვარდებით. მარტოსულია, მარტოობაა მისი ყველაზე ერთგული და ნაცადი მეგობარი. ამიტომაც თვალისჩინივით უფრთხილდება არსებობის ამ საოცარ ფორმას, რათა ზღაპრული წეროსავით არ გაუფრინდეს, არ მიატოვოს. ყველგან ყინწვისის ანგელოზის მადლი და მირონი დაჰყვება თან, მისი მფარველი ანგელოზისა... სული ლორთქო ბალახისა თუ ახლადამოწვერილი თავთავის სურნელითა აქვს სავსე, მის მკერდზე გადამსკდარი საკინძიდან ბადაგივით უტკბილესი ყურძნის მარცვლები მოსჩანს, რომლებსაც ნელი მოქმედების ნაღმებივით შეუძლიათ აფეთქება და ყველაფრის წალეკვა. სარფის საბაჟოსთან მდგარი შორიდან გასცქერის საქართველოზე დიდ საქართველოს, საიდანაც ჩვენს სამშობლოში პირველად შემოანათა ქრისტეს ნათელმა და რომელიც შუბითა თუ იატაგანით მოაშორეს დედის მკერდს. დგას და დაქვრივებული პატარძალივით დაჰყურებს, თუ როგორ მოედინება დღესაც ალისფერი სისხლი მოურჩენელი, პირგახსნილი იარებიდან. რა გასაკვირია, თუ ამ დროს ქეთევან დედოფალი ახსენდება, ჩვენთვის ჯვარცმული დედოფალი, ერთადერთი არსება, რომელმაც მტარვალი შაჰ-აბასის დამარცხება შეძლო.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თქვენი პოეზია მართლაც რომ გულაბიერით დამწიფდა და ქარვისფერი დაიდო.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ლიტვურ, ესტონურ და ფრანგულ ენებზე, შესულია მეტად პრესტიჟულ ანთოლოგიებში...

ამავე დროს დიდებული მეცნიერი ბრძანდებით. ვაჟა-ფშაველა იქცა თქვენი მეცნიერული შთაგონების წყაროდ. ამის მშვენიერი დასტურია თქვენი მონოგრაფია „ქართველ მწერალთა შემოქმედებითი მიმართებანი ვაჟა-ფშაველასთან“, რომლისთვისაც ფილოლოგიის დოქტორის წოდება მოგენიჭათ. ამავე დროს გატაცებით იკვლევთ გრიგოლ რობაქიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ანა კალანდაძის, თამაზ ჭილაძის, გაბრიელა მისტრალის, ემილი დიკინსონის, სამუელ ბეკეტისა თუ მორის მეტერლინკის შემოქმედებას... ძალზე საინტერესოდ გვესახება თქვენი წერილები ნიკო ფიროსმანაშვილზე, პაბლო პიკასოზე, ზურაბ ნიჟარაძეზე.

უაღრესად ტევადი და მრავალწახნაგოვანია თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა. სხვადასხვა დროს მუშაობდით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად, ტელევიზია „მზის“ რედაქტორად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორად და შემოქმედებითი დახელოვნების წრის ხელმძღვანელად, თსუ ქალთა საკრებულოს წევრად, ასიროლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრად, ჟურნალ „მწვანეყვავილას“ რედაქტორის მოადგილედ, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მეგობართა კლუბის წევრად. წლებია, რაც წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მოღვაწეობთ და ლექციების კურსს კითხულობთ, ხელმძღვანელობთ ლიტერატურულ-შემოქმედებით სახელოსნოს. ინტერნეტტელევიზიაში მიგყავდათ გადაცემა „საუბრები მსოფლიო ხელოვანთა შესახებ“, ხოლო საპატრიარქოს რადიოში გქონდათ საკუთარი რუბრიკა „მშვენიერების სამყაროში“. დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ხართ საზოგადოებრივი პროექტისა „სამი სავარძელი ხელოვანთა-ათვის“, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს. არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

თქვენი უაღრესად მნიშვნელოვანი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის, ნიკო სამადაშვილის, გოდერძი ჩოხელის სახელობის, „საგურამოს“ პრემიები. დაჯილდოებული ხართ გალაკტიონ ტაბიძის ოქროს მედლით და ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის მთავარი პრიზით – წმინდა ნინოს ჯვრით.

ქალბატონო ქეთევან!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

აკაკი ჩხენკელის პირადი დღიურები და წერილები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ 25 თებერვალს ქართველი დიპლომატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის აკაკი ჩხენკელის პირადი დღიურებისა და საქმიანი წერილების პრეზენტაციას უმასპინძლა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, ღონისძიებას დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თორთლაძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, თბილისის საკრებულოს წევრი კახა ლაბუჩიძე, თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი ზურაბ გაიპარაშვილი, ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლები, თსუ-ის აკადემიური პერსონალი და თსუ-ის სტუდენტები.

ღონისძიებაზე სხვა გამომსვლელებთან ერთად სიტყვა წარმოთვა თსუ-ის რექტორმა.

„ამ კრებულის პრეზენტაცია 25 თებერვალს გადავწყვიტეთ, რადგან ეს დღე არის სიმბოლური აკაკი ჩხენკელის ცხოვრებაში და, მეორე მხრივ, ეს არის დღე, რომელიც საქართველოს ისტორიაში აღარასდროს უნდა განმეორდეს. 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრო და 70-წლიან

ტყვეობაში ამყოფა, რომელმაც შეაფერხა ჩვენი ქვეყნის განვითარება. ამ კრებულის გამოცემა, ასევე, ის აქტივობები, რომელიც მისი 150 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა, არის დაფასება დიდი პოლიტიკური მოღვაწისა“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

პრეზენტაციის დროს გაიმართა შთამბეჭდავი გამოფენა. წარმოდგენილი იყო თსუ ბიბლიოთეკასა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა, რომელიც დაკავშირებულია აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობასთან.

აკაკი ჩხენკელის დაბადების 150 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული არქივი და თბილისის მერია.

ოთხ თეატრს სცენის განათებისა და გახმოვანების სისტემები გადაეცა

საქართველოს კულტურის სამინისტრომ მარიონეტების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს და ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს 695 058 ლარის ღირებულების აპარატურა გადასცა.

განათებისა და გახმოვანების სისტემები მიიღო ასევე თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

საქართველოს კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ მაკა გურგენიძემ და მინისტრის მოადგილე ბექა დავითულიანმა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებს და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორს შემდგომი მხარდაჭერა აღუთქვეს.

კულტურის სამინისტრო წლის ბოლომდე კიდევ 12 სახელმწიფო თეატრის ტექნიკას განაახლებს. აპარატურის გადაცემა ეტაპობრივად ხორციელდება

გაისად - უფრო მასშტაბურად

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯისა და ქალთა კალათბურთში დაფასებული მწვრთნელის როლანდ გელოვანის იუბილეესთან დაკავშირებით მისი ხსოვნის ტურნირი გაიმართა. შეგახსენებთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შედეგად გელოვანი 2 წლის წინათ გარდაიცვალა და კალათბურთის ფედერაციის ქალთა კალათბურთის დეპარტამენტის ორგანიზებით მისი სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი დაფუძნდა.

როლანდ გელოვანის სახელობის ტურნირი წლეულს მეორედ ჩატარდა და მასში საზღვარგარეთულმა გუნდებმა უამინდობის გამო მონაწილეობის მიღება ვერ შეძლეს. თურქეთის გავლით საერთაშორისო რეისებზე დაწესებული შეზღუდვის გამო ტურნირზე ვერ ჩამოვიდნენ თურქეთისა და სომხეთის ნაკრებები.

მემორიალურ ტურნირს ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზმა უმასპინძლა და მასში 3 გუნდი მონაწილეობდა – საქართველოს 16 და 18-წლამდელ გოგონათა ნაკრებები და კლუბ ბასტიონის 18-წლამდელთა გუნდი. პირველობა არავის დაუთმო საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა, მეორეზე 16-წლამდელები გავიდნენ, ხოლო მესამე ადგილი კლუბ ბასტიონს დარჩა.

პრიზიორები ფედერაციის ქალთა კალათბურთის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **კახა შენგელიამ** დააჯილდოვა. როლანდ გელოვანის სახელობის ტრადიციული ტურნირი მომავალ წელს გაცილებით მასშტაბურად მოეწყობა.

ყველა პოზიციაზე

კვარა პსჟ-ში მარჯვნივ თამაშობს, მაგრამ ლუის ენრიკემ ის ცენტრშიც გამოიყენა.

საფრანგეთის ლიგა 1-ის ვებგვერდმა ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც საუბარი იმაზეა, რომ ქართველი ფეხბურთელი პსჟ-ში მარჯვენა ფლანგზე თამაშობს, რაც მისთვის სიახლეა.

კვარამ სახელი მარცხენა ფლანგზე თამაშით გაითქვა, მაგრამ ბოლო მატჩები საპირისპირო მხარესაც შესანიშნავად ჩაატარა, რამაც ლიგა 1-ის ყურადღება მიიქცია:

„პარი სენ-ჟერმენის“ მთავარ მწვრთნელს ლუის ენრიკეს ექსპერიმენტების არ ეშინია და ხვიჩა კვარაცხელიას ადგილი მარჯვენა ფლანგზე უპოვა. პსჟ-მ ბოლო ორი მატჩი „ბრესტის“ და „ლიონის“ წინააღმდეგ მოიგო, ხოლო კვარაცხელიამ მარჯვენა ფლანგზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, „ბრესტთან“ გოლი გაიტანა და „ლიონთან“ საგოლე პასი შეასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ ის ძირითადად მარცხენა გარემარბია, ქართველი ახალ როლს მარჯვენა ფლანგზე უპრობლემოდ შეეგუა. ეს კარგია პსჟ-სთვის, რადგან მათ შეუძლიათ ჰყავდეთ შემტევი ტრიო **კვარაცხელია-გარკოლა-დემბელეს** შემადგენლობით.

როდესაც კვარაცხელია იანვარში „ნაპოლიდან“ დაიმატეს, ენრიკემ ის მარცხენა ფლანგზე ათამაშა, ამიტომ ხშირად გარკოლა სათადარიგოთა სკამზე იყო ან მარჯვნივ თამაშობდა. თუმცა, ახლა კვარაცხელია ბრწყინავს მარჯვნივ. „ბრესტთან“ 7:0 მოგების შემდეგ პსჟ-ს ახალწვეულმა ადაპტაციის პროცესზე ისაუბრა: „ყველაფერი ძალიან კარგად მიდის. არასოდესაა ადვილი ახალ ქვეყანაში, ახალ ლიგაში გადასვლა, მაგრამ ბევრს ვმუშაობ, ეს ჩემი საქმეა“.

24 წლის ფეხბურთელი განსხვავებულ პოზიციაზე თამაშობს იმისგან, რასაც მიჩვეული იყო და ალბათ, სწორედ ამიტომ, ლუის ენრიკე ფიქრობს, რომ ფეხბურთელს განვითარება კიდევ შეუძლია:

„ჩვენ საუკეთესო გამოსავალს ვეძებთ თითოეული მოთამაშისთვის. ის ჯერ კიდევ იზრდება და ადაპტაციის ფაზაშია. ჯერ კიდევ არ არის 100%-ით ოპტიმალურ კონდიციებში. ორიენტირებული ვართ გუნდური გადაწყვეტილებების პოვნაზე, რათა ყველა მატჩში ყველაზე კონკურენტუნარიანები ვიყოთ“, – აღნიშნა ლუის ენრიკემ.

პსჟ-ს შემდეგი ტესტი იმის გასაგებად, შეძლებს თუ არა კვარაცხელია საბოლოოდ,მარჯვენა ფლანგზე დამკვიდრებას, ლივერპულთან ექნება. პსჟ პრემიერლიგის ლიდერს 5 მარტს უმასპინძლებს, ხოლო 11 მარტს „ენფილდზე“ ითამაშებს“, – წერს ლიგა 1-ის ვებგვერდი.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიას პსჟ-ს მაისურით ყველა ტურნირზე ჩატარებულ 9 მატჩში 2 ბურთი აქვს გატანილი, ხოლო 3-ჯერ საგოლე პასი მიითვალა. კონკრეტულად ლიგა 1-ში კი – 6 თამაში, 1 გოლი და 2 შედეგიანი პასი. პსჟ ლიგა 1-ს 23 ტურის შემდეგ 59 ქულით ლიდერობს და 13 ქულით უსწრებს „მარსელს“, ასე რომ, ჩემპიონობა მხოლოდ დროის საკითხია. ლუის ენრიკეს გუნდი მომდევნო ტურში ხვალ „ლილს“ უმასპინძლებს.

რაც შეეხება საფრანგეთის თასს, პსჟ უკვე ნახევარფინალშია მე-4 ლიგის ბრიუშონთან შესუსტებული შემადგენლობით განავარდების შემდეგ – 7:0. ამ შეხვედრაში კვარამ ფრანგულ კარიერაში პირველი პენალტი დაიმსახურა.

იმავე დღეს მორიგი გოლები გაიტანეს სხვა ქართველმა ლეგიონერებმაც – **გაბრიელ სიგუამ** და **გიორგი ბერიძემ**, ხოლო თამაშში მე-2 ტაიმიდან ჩაბმული **საბა გოგლიჩიძის** ემპოლიმ იტალიის თასზე უდიდესი სენსაცია მოახდინა და სტუმრად ტურინის იუვენტუსის ძლევით (პენალტების სერიაში, ძირითადი დრო – 1:1) ნახევარფინალში პირველად გავიდა, სადაც ბოლონიასთან იბრძოლებს.

აფრიკაში - ჩელენჯერზე

გუშინ საღამოს საქართველოს 7-კაცა ნაკრები მსოფლიო სერიის შესარჩევი, ჩელენჯერის ორი ეტაპის სათამაშოდ სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა.

მსოფლიო რაგბის გადაწყვეტილებით, ჩელენჯერის სერიის პირველ ორ ეტაპს სამხრეთ აფრიკის კეიპტაუნი უმასპინძლებს. პირველი ეტაპი 1-2 მარტს, ხოლო მეორე 7-8 მარტს გაიმართება და მასში როგორც კაცთა, ასევე ქალთა შორის 12-12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ჩელენჯერის სერიის ფორმატი წელს განსხვავებული იქნება და მესამე ეტაპზე 12-12-ის ნაცვლად 8-8 საუკეთესო (პირველი ორი ეტაპის შედეგების ჯამით) გუნდი ითამაშებს. მესამე ეტაპს პოლონეთის კრაკოვი 11-12 აპრილს უმასპინძლებს და 4-4 საუკეთესო გუნდი მსოფლიო რაგბის 7-კაცა სერიის ფლეი ოფში გავა, რომელიც 3-4 მაისს ამერიკის შეერთებულ შტატების ლოს ანჯელესში გაიმართება.

ლოს ანჯელესშიც ქალთა და კაცთა თანრიგში 8-8 გუნდი ითამაშებს. ჩელენჯერის სერიის 4 მოწინავეს, 2025 წლის შედეგების მიხედვით 7-კაცა სერიის ბოლო 4 გუნდი დაემატება და ჯამში 8 ნაკრები 2025/2026 წლების მსოფლიო რაგბის სერიის 4 საგზურისთვის იბრძოლებს.

არის სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებაც. გუნდები სამ 4-გუნდა ჯგუფის ნაცვლად, ოთხ სამგუნდა ჯგუფში გადანაწილდნენ. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ პირველადგილოსნები მეორე დღეს თასის ნახევარფინალს და პირველ-მესამე ადგილებს გაითამაშებენ; მეორეადგილოსნები მე-5-მე-8 ადგილებისთვის იბრძოლებენ; მესამეადგილოსნები კი მე-9-მე-12 პოზიციებისთვის ირაგბებენ. შედეგად, უწინდელი 6 და 5 თამაშის ნაცვლად, თითო გუნდს მხოლოდ 4 თამაშის გამართვა მოუწევს.

პირველ ეტაპზე საქართველო ჯგუფში იაპონიასთან და გერმანიასთან მოხვდა. 1 მარტს 13:06 საათზე იაპონიას, ხოლო 16:27 საათზე გერმანიას ეთამაშება და ამის შემდეგ გაირკვევა რომელი ადგილისთვის გააგრძელებენ ბრძოლას ბესიკ ხამაშურიძისა და გია ლაბაძის შეგირდები.

იმისათვის, რომ ჩვენი 7-კაცა გუნდი ჩელენჯერის სერიისთვის უკეთ მომზადებულიყო, 17-21 თებერვალს უკრაინის ნაკრებთან ერთად ერთობლივი ვარჯიშები დაიგეგმა. გუნდებს შეკრება და თამაშები ქუთაისში, „აია არენაზე“ უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ თოვლის სახით მოსულმა ნალექმა მათი გეგმები შეცვალა.

„უკეთესი იქნებოდა ბევრი თამაშები გამოგვსვლოდა, მაგრამ სულ არარაობას ეს ჯობდა, რადგან ბევრი დეტალის გავლა მოვახერხეთ და ვიმედოვნებ, ეს გამოცდილება აფრიკაში წაგვადგება“ – აღნიშნავს 7-კაცას მთავარი მწვრთნელი **ბესიკ ხამაშურიძე:**

„მთლიანობაში ნორმალურად მოვემზადეთ. დაგვიბრუნდნენ ტრავმირებული მოთამაშეები. მათი ნაწილი კარგ კონდიციებშია, ნაწილი საშუალოში და ვიმედოვნებთ, ერთიანობაში კარგად ვიქნებით. აფრიკაში ორი ტურნირი გვაქვს და ამის გამო 13 მოთამაშე მიგვყავს, თუმცა თითო ტურნირს 12 თამაშობს. იმედია ტრავმები არ გვექნება და დამატებით არავის ჩაყვანა მოგვიწევს. ბიჭების მეიმედება და პირველ ეტაპზე ჯგუფში პირველი თუ არა მეორე ადგილის დასაკავებლად ვიბრძოლებთ“.

7-კაცას მეორე მწვრთნელი **გია ლაბაძე** მზადების დასკვნითი ეტაპის შესახებ უფრო დაწვრილებით გვიყვება:

„პირველ დღეს უკრაინელებთან ერთად ჩვეულებრივად ვივარჯიშეთ, მეორე დღეს კი წამოვიდა თოვლი და მოგვიწია ლოკაციის შეცვლა. წავედით ფოთში, სადაც ადგილობრივი კლუბის წარმომადგენლებმა ყველანაირი პირობები შეგვიქმნეს და მინი-ტურნირისთვის გუნდიც კი გამოიყვანეს. ჩავატარეთ 3 თამაში, აქედან ორი უკრაინის ნაკრებთან და ამინდის გათვალისწინებით, რისი შესაძლებლობაც იყო მაქსიმუმი გავაკეთეთ“.

„თუ რამის პრეტენზია გვაქვს, ჯგუფში ორივე თამაში უნდა მოვიგოთ!“ - ამბობს ლაბაძე და განაგრძობს: „ამის პრეტენზიაც გვაქვს და შესაძლებლობაც. ბიჭებიც ფიქრობენ, რომ შეუძლიათ და ახლა მნიშვნელოვანია როგორ შევხვდებით კონკრეტულად თამაშის დღეს – როგორ ვიმგზავრებთ, როგორ გავივლით აღდგენას და ადაპტაციას“.

აღსანიშნავია, რომ იაპონიას შარშან ვეთამაშეთ, 17:12 დავამარცხეთ და მწვრთნელებს იგივეს გამეორების იმედი აქვთ, გერმანია კი ბოლო წლებში „აქილევსის ქუსლად“ იქცა და ბიჭებს ნავსის გატეხვის იმედი აქვთ. მეტოქეების შესახებ ხამაშურიძე ამბობს:

„ტურნირის ფორმატი შეიცვალა და მხოლოდ 4 თამაში გვაქვს, რაც ძალიან ცუდია. წინა ფორმატის პირობებში მეტი თამაში გვიწევდა, ჩვენ კი ყველაზე მეტად სწორედ სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა გვაფიქრებს. იმედია, ფორმატი საბოლოო სახეს მალე მიიღებს და წინდაწინ გვეცოდინება რა გველოდება“.

„იაპონიის თამაშს ვუყურე. მათთან შარშან ვითამაშეთ და კარგია გამარჯვება რომ მოვიპოვეთ, რაც საკუთარი თავის რწმენას გვმატებს. ის ძალიან კარგია ბურთით ხელში, მაგრამ დაცვაში სუსტი წერტილები მრავლად აქვს. ჩვენი მიზანია ისინი უბურთოდ დავტოვოთ და თუ ეს მოვახერხეთ ვეღარ გაგვიძლებენ. აქედანვე ვამბობ, რომ თვითონ ჩვენ თუ არ წავაგეთ ეს თამაში, იაპონიას შანსი არ აქვს. ამის შემდეგ გველოდება ის გადაულახავი ბარიერი, რასაც გერმანია ჰქვია. ვფიქრობ, უშანსოდ არც აქ ვიქნებით და თუ ჩვენს შესაძლებლობებს გამოვიყენებთ, გამარჯვების შანსიც გვექნება“.

ხამაშურიძეს კიდევ ერთი სურვილი აქვს:

„კარგი იქნება, თუ ამ ტურნირების გაშუქება ტელევიზიით მოხდება. ჩვენც საქართველოს ეროვნული ნაკრები ვართ და გულშემატკივრისგან მეტი ყურადღება, თუნდაც კრიტიკა გვჭირდება, რომ უფრო გავიზარდოთ. ჩვენის მხრივ ვეცდებით გულშემატკივარი არ გავაწბილოთ. 7-კაცა ოლიმპიური სახეობაა თუ ჩვენი თამაშების პირდაპირი ტრანსლაცია იქნება, ვფიქრობ, გულშემატკივართა რაოდენობაც გაიზრდება“

მოამზადა
გია პლატონიშვილმა

არ გაყიდოთ სამშობლო 120 ევროდ, ყვავებო!

რუსეთის დაზვერვის ინფორმაციით, EU-დან საპროტესტო აქციების თითოეული მონაწილისთვის დღეში 120 ევროა გამოყოფილი

რუსეთის დაზვერვის ინფორმაციით, ევროკავშირის ხელმძღვანელების მიზანი ევროინტეგრაციისა და დემოკრატიის გზაზე საქართველოს ნებისმიერ ფასად დაბრუნებაა, რისთვისაც ევროგაერთიანება ქართულ საზოგადოებასთან და ოპოზიციურ პარტიებთან კომუნიკაციის ფორმას ცვლის და პოლიტიკურ ზეწოლაზე გადადის.

რუსეთის საგარეო დაზვერვის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, ევროკავშირი საქართველოში საპროტესტო მუხტისა და აქციების შენარჩუნებისთვის ფინანსურ რესურსსაც ხარჯავს, რაც თითოეულ ადამიანზე ერთი დღისთვის 120 ევროს ოდენობით განისაზღვრება. ამასთან, რუსულ უწყებაში იმასაც აცხადებენ, რომ ევროკავშირი პროევროპელი ახალგაზრდების პროექტებსაც დააფინანსებს. ფინანსური ნაკადების შეუფერხებელი შემოდინებისთვის კი სომხეთს გამოიყენებს.

„რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის პრესსამსახური იტყობინება, რომ უწყების მონაცემებით, ევროკავშირის ხელმძღვანელების მიზანი ევროინტეგრაციისა და დემოკრატიის გზაზე საქართველოს ნებისმიერ ფასად დაბრუნებაა. ბრიუსელის ევრობიუროკრატია ვერ დაუშვებს „ამიერკავკასიაში დასავლეთისთვის ამ მნიშვნელოვანი დასაყრდენის“ დაკარგვას.

მსოფლიოში მიმდინარე „ნაციონალ-კონსერვატიული შემობრუნების“ გათვალისწინებით ევროკავშირმა ქართველ პოლიტიკოსებთან და საზოგადოებასთან მუშაობის პროცესში გადაწყვიტა არსებული ლიბერალური დაპირებებიდან პოლიტიკურ ზეწოლაზე გადავიდეს. ევროკავშირის ჩინოვნიკების ამოცანაა ქართული ოპოზიციური პარტიების - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ახალი“, „საქართველოსთვის“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი – მეტი თავისუფლების“ გაერთიანება. ისინი მოწოდებულნი არიან მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ „ერთიანი მუშტი“ შექმნან.

პარალელურად საქართველოში ქუჩების საპროტესტო აქციების გამართვის მცდელობები, რომელიც „უბრალო ქართველების პროევროპული მდგრადი შეხედულებების დამადასტურებელი“ გახდება. თბილისში ევროკავშირის წარმომადგენლებისთვის გამოყოფილია მნიშვნელოვანი რესურსების მანიფესტაციების ხელშეწყობისა და კოორდინაციისთვის. ანტისახელისუფლებო გამოსვლების თითოეული მონაწილისთვის ერთი დღის „სამუშაოსთვის“ 120 ევროა გამოყოფილი.

საქართველოს ხელისუფლების მცდელობის შემთხვევაში, დივერსიული მოქმედებების დასაფინანსებლად ევროკავშირის არხები დაბლოკოს, სომხეთში ევროკავშირის საელჩოებიდან თბილისში ნაღდი ვალუტის მიტანის ვარიანტი განიხილება.

ცალკე სფერო მოიცავს „ადგილობრივი ახალგაზრდობის ყველაზე დინამიკურ ნაწილს შორის ანტისამთავრობო განწყობების ჩამოყალიბებას“ –ბლოგერებს, ჟურნალისტებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგის სპეციალისტებს, ასევე მათი რუსი კოლეგები, რომლებიც საქართველოში ჩავიდნენ.

ბრიუსელის მიერ კონტროლირებადი ქართული და ევროპული მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები ორიენტირებულნი არიან ამ ფოკუს ჯგუფებს „ტვინები გამოურეცხონ“ ზღაპრებით „ერთიან ევროპასთან თანამშრომლობის უპირატესობებზე“ და „ქართული ოცნების“ მიერ არჩეული პრორუსული პოლიტიკის ვექტორის ჩიხზე. ევროკავშირის პროგრამა **Georgian Youth** ფორ რუროპე ახალგაზრდა ქართველებს 50 000 ევროს მოცულობის გრანტებს შესთავაზებენ „პროგრესული“ პროექტებისთვის. ამ რესურსის გამოყოფის მთავარი კრიტერიუმი დასავლეთის ავტორებისადმი ლოიალურობა იქნება.

როგორც წარმოდგენილია, ამიერკავკასიაში ევროკავშირის „ჩრდილოვანი“ აქტიურობის შესახებ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებმა კი არ უნდა იცოდნენ, არამედ ამის შესახებ ევროკავშირში გადასახადების გადამხდელებმა უნდა იცოდნენ, რომლებსაც ბრიუსელი „ქამრების გადაჭერისკენ“ მოუწოდებს და „დემოკრატიის საერთაშორისო ზეიმის“ იგავებით იკვებება“, – ნათქვამია რუსეთის დაზვერვის განცხადებაში.

ხსოვნა

ნაპოლეონ ქარქაშაძე და თენგიზ ქარქაშაძე ოჯახებით ვიუწყებით, რომ გარდაგვეცვალა ბიძაშვილი, ღვაწლმოსილი ადამიანი, არაჩვეულებრივი დედა და ბებია

მაყვალა ქარქაშაძე,

რომელმაც ღირსეულად გაიარა თავისი ცხოვრების გზა.

უზომოდ ვწუხვართ და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს.

ორჯერ ოსკაროსანი მეუღლესთან ერთად გარდაცვლილი იპოვეს

ამერიკელი მსახიობი ჯინ ჰეკმანი და მისი მეუღლე ბეტსი არაკავა ნიუ მექსიკოს შტატის ქალაქ სანტა ფეში მდებარე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

სანტა ფეს ოლქის შერიფის განცხადებაში ნათქვამია: „შეგვიძლია, დავადასტუროთ, რომ ჯინ ჰეკმანი და მისი მეუღლე გარდაცვლილი იპოვეს ოთხშაბათს, დღის მეორე ნახევარში მათ საცხოვრებელში, სანსეტ ტრეილზე. გამოძიება გრძელდება, თუმცა ამ დროისთვის დანაშაულებრივი ქმედება არ იკვეთება“.

თუმცა შერიფმა არ დაასახელა მსახიობისა და მისი მეუღლის გარდაცვალების მიზეზი.

ჰეკმანი 95 წლის იყო, მისი მეუღლე კი – 63-ის.

ჯინ ჰეკმანის კარიერა ექვს ათეულ წელს ითვლის. მას მიღებული აქვს ორი „ოსკარი“, ორი „ბაფტა“, ოთხი „ოქროს გლობუსი“ და მსახიობთა გილდიის ჯილდო.

მიშელ ტრახტენბერგი 39 წლის ასაკში გარდაიცვალა

ამერიკელი მსახიობი მიშელ ტრახტენბერგი 39 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გამოცემის ცნობით, გარდაცვლილი საკუთარმა დედამ, 26 თებერვალს **One Columbus Place**-ში, 51-სართულიან კომპლექსში იპოვა.

პირველადი დასკვნით, მისი უცაბედი გარდაცვალება რამდენიმე კვირის წინ ჩატარებულ ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას უკავშირდება.

წყაროების ინფორმაციით, მსახიობის სიკვდილი სწორედ ოპერაციის შემდგომმა გართულებამ გამოიწვია.

მიშელ ტრახტენბერგი ცნობილი იყო ფილმებით, როგორიცაა: **EuroTrip, Buffy the Vampire Slayer** და **Gossip Girl**.

სუდანის არმიის თვითმფრინავი საცხოვრებელ უბანში ჩამოვარდა

სუდანის სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავი ხარტუმის გარეუბანში, საცხოვრებელ უბანში ჩამოვარდა, რასაც 46 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

თვითმფრინავი აფრენის შემდეგ საცხოვრებელ სახლს დაეცა. როგორც ცნობილია, დაიღუპნენ არა მარტო საჰაერო ხომალდის ბორტზე მყოფი ადამიანები, არამედ სახლის მობინადრეებიც.

ჩრდილოეთ ომდურმანის მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ ავარიის შედეგად ძლიერი აფეთქება მოხდა, რამაც ასევე გამოიწვია ელექტროენერგიის გათიშვა მიმდებარე რამდენიმე უბანში.

„დაშავებულები გადაყვანილნი არიან საავადმყოფოში და მეხანძრე-მაშველებმა ავარიის ადგილზე ცეცხლის ლოკალიზება მოახერხეს“.

თვითმფრინავის ჩამოვარდნის მიზეზად ტექნიკური გაუმართაობა სახელდება.

უცნობი დაავადება კონგოში

კონგოში, 21 იანვრიდან, დადასტურდა იდუმალი ინფექციის აფეთქება, რომელმაც ამ დრომდე 419 რეგისტრირებული პაციენტიდან 53 იმსხვერპლა.

პირველი შემთხვევები ქალაქ ბოლოკოში დაფიქსირდა, სადაც სამი ბავშვი, რომლებიც ღამურას ჭამდნენ, ორი დღის შემდეგ ცხელების სიმპტომებით გარდაიცვალნენ.

ინფექციის ნიმუშები კონგოს ლაბორატორიებში გადაგზავნეს. ტესტების შედეგებმა უარყოფითი შედეგი აჩვენა ებოლასა და მარბურგზე, მაგრამ დადასტურდა მალარია ზოგიერთ პაციენტში.

დაავადების სიმპტომებს შორისაა ცხელება, ციება, თავისა და სახსრების ტკივილი.

გუნდა აფხაზურად ლამაზს ნიშნავს!

ძვირფასო რედაქცია!

ეს მე ვარ აფხაზეთის ომის ვეტერანი, ვიცე-პოლკოვნიკი, ომის ვეტერანთა თბილისის კომიტეტის ნაძალადევის რაიონის ხელმძღვანელი!

ეს მე ვარ, პოეზიასა და ქართულ სიტყვაზე უზომოდ შეყვარებული 77 წლის **ვლადიმერ ჭანტურიძე**, რომელმაც, ტრადიციისამებრ, 2025 წლის 23 თებერვალს, დილით, ხუდადოვის ტყე-პარკს მივაშურე და ბავშვივით გავიხარე, დიდი ხნით მონატრებული თოვლი რომ დავინახე!

თბილისი ხომ იმდენად თბილი ქალაქია, თოვლი „ვერ ბედავს“ დედაქალაქის სითბოს ხელყოფას!..

შეხედეთ, სურათზე ცოტა „ვმარიაჟობ“ კიდეც, ველოდები შვილიშვილების გაღვიძებას...

შეიძლება ამ დილით სოხუმში, აგუძერაში გამღვიძებოდა, სადარბაზოში გამოსული ჩემს ულამაზეს აფხაზ მეზობელს გუნდა შამბას მივსალმებოდი და შვილიშვილთან ერთად ზღვისპირა პარკში სავარჯიშოდ მერბინა... შეგახსენებთ, რომ გუნდა აფხაზურად ლამაზს ნიშნავს...

2025 წლის 23 თებერვალს ხუდადოვის ტყე-პარკში რომ თოვლის გუნდა მუჭში მოვტკეპნე, ღრმად ამოვისუნთქე და სოხუმის ზღვისპირა პარკისკენ გავისროლე, მინდოდა თბილისური თოვლის გუნდას... სოხუმელ გუნდა შამბამდე მიეღწია...

თბილისიდან სოხუმამდე ხომ ერთი ნაბიჯია, როცა ქართულ-აფხაზური მიწა-წყლის ყოველი გოჯი ყოველღამ მესიზმრება...

ვლადიმერ ჭანტურიძე



„ფოს“ – ეკატერინე ბულაშვილის პერსონალური გამოფენა

1 მარტს ხელოვნების სასახლეში ეკატერინე ბულაშვილის მეშვიდე პერსონალური გამოფენა – „ფოს“ გაიხსნება.

ხელოვნების სასახლის ინფორმაციით, ექსპოზიციაზე მხატვრის ოცდაათი ფერწერული და სკულპტურული ნამუშევარია წარმოდგენილი. ფერწერული ნახატები 2024-25 წლებშია შესრულებული და „სინათლის“ თემის ქვეშ ერთიანდება. ქანდაკებების ნაწილში დამთვალიერებელს, როგორც პორტრეტული, ასევე სკულპტურული კომპოზიციების ნახვის შესაძლებლობა ექნება.

ეკატერინე ბულაშვილმა სამხატვრო აკადემია 2014 წელს დაასრულა. იგი ჯერ ფერწერის, შემდგომ კი, ქანდაკების ფაკულტეტზე სწავლობდა. სტუდენტობის პერიოდიდან მონაწილეობას იღებს ჯგუფურ გამოფენებსა და ფესტივალებში. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში, პორტუგალიასა და გერმანიაში.

ეკატერინე ბულაშვილის შემოქმედება აერთიანებს – პეიზაჟს, პორტრეტსა და ფიგურატიულ კომპოზიციებს. მის ნამუშევრებს რეალობის ასახვა და შინაგანი სამყაროს ინდივიდუალური პრიზმიდან დანახვა ახასიათებს.

გამოფენა ხელოვნების სასახლეში 9 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

ნიკო სამადაშვილის შემოქმედების ტექსტური ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებამ ნიკო სამადაშვილის შემოქმედების ტექსტური ბიბლიოგრაფია შეადგინა.

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, ბიბლიოგრაფია ელექტრონული წიგნის სახით უკვე განთავსდა ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბაზა „ივერიელში“.

ბიბლიოგრაფია შეადგინეს ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა – თამარ ხიზამბარელმა და დარეჯან თეთრაშვილმა.

ამ აღმოჩენას შეუძლია, დედამიწის ისტორია ხელახლა დაწეროს!

მეცნიერების ჯგუფმა გაავრცელა ინფორმაცია ახალი აღმოჩენის შესახებ, რომელიც 100 მილიონი წლის წინ წყნარი ოკეანის ქვეშ დიდი შეჯახების მტკიცებულებაა. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.

მეცნიერთა ჯგუფის განცხადებით, აღმოჩენილია ზღვის ფსკერის ნაშთები, რომელიც, სავარაუდოდ, ტექტონიკური ფირფიტის ნაწილია. იგი, სავარაუდოდ, ჩამოიშალა და ჩამოცურდა მილიონობით წლის წინ.

„ჩვენი აღმოჩენა ბადებს ახალ კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს დედამიწის სიღრმე იმაზე, რასაც ჩვენ ვხედავთ ზედაპირზე უზარმაზარ დისტანციებზე და დროში“, – განაცხადა ერთ-ერთმა მეცნიერმა.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს 19312 მეტრის სისქის და 1931 კილომეტრი სიგრძის ტერიტორია „მანტიის გარდამავალ ზონაში“. ეს არის რეგიონი, რომელიც გამოყოფს ზედა მანტიას ქვედისგან.

მკვლევრის თქმით, ეს აღმოჩენა ნიშნავს, რომ მეცნიერებს მოუწევთ გადახედონ იმას, რაც ვიცით მანტიის გარდამავალი ზონის შესახებ. მისივე თქმით, ოკეანის სიღრმეში კიდევ უფრო ძველი სტრუქტურებიც არსებობს.

„ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ გვჯერა, რომ კიდევ ბევრი უძველესი სტრუქტურა ელოდება აღმოჩენას დედამიწის სიღრმეში. თითოეულ მათგანს აქვს პოტენციალი, გამოავლინოს ბევრი ახალი შეხედულება ჩვენი პლანეტის რთული წარსულის შესახებ“,- თქვა ვანგმა.



მეცნიერებმა წითელ ზღვაში სიკვდილის ხაფანგები აღმოაჩინეს

მეცნიერებმა, რომლებიც სწავლობდნენ წითელ ზღვას, აღმოაჩინეს ბუნებრივი სიკვდილის ხაფანგები. ეს რეგიონი მიიჩნევა, რომ არის ადგილი, სადაც მოსემ წყლები გაყო.

Fox News-ის ცნობით, მარილწყალში აუზები აღმოაჩინეს აკაბას ყურის ზედაპირიდან 1200 მეტრზე მეტ სიღრმეზე, სადაც წყალი ჩვეულებრივ ზღვის წყალზე 10-ჯერ მარილიანია.

კვლევითმა ჯგუფმა გამოიყენა დისტანციური მართვის მანქანები და ღრმა ზღვის ზონდები ღრმა ზღვის თხრილების რეგიონის შესასწავლად, რომელიც მდებარეობს აფრიკასა და არაბეთის ნახევარკუნძულს შორის.

„ჩვენი ამჟამინდელი გაგება არის ის, რომ სიცოცხლე დედამიწაზე წარმოიშვა ღრმა ზღვაში, თითქმის ჟანგბადისგან თავისუფალ პირობებში. კვლევა ვარაუდობს, რომ ამ „სიკვდილის აუზებს“ შეუძლიათ მინიშნებების მიწოდება არამიწიერი ორგანიზმების ძიებაში. აღნიშნულია, რომ ეს უნიკალური ეკოსისტემა ერთ-ერთი ყველაზე ექსტრემალური გარემოა პლანეტაზე და ისინი ჰგავს პირობებს, რომლებიც გვხვდება მზის სისტემის გარეთ არსებულ შორეულ „წყლის სამყაროებში“,– ამბობენ მეცნიერები.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ხელუხლებელი პირობები მათ საშუალებას მისცემს, უკეთ გაიგონ უძველესი ოკეანის პირობები და დაეხმარება მათ კლიმატის ნიმუშების აღდგენაში.

საქართველოს
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge
რედაქცია

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებლები
გიორგი მახარაშვილი,
არჩილ სიხარულიძე.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 3 მარტს